# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 23 თებერვალი, 2012 წელი.

№36 (6913)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




## პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლა — კვლავ პიარი და ბაქიბუქი!.. ④

## ავღანეთში კიდევ სამი ბიჭი მოგვიკლეს!

ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულებისას სამი ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კაპრალები ვალიკო ბერაია, რუსლან მელაძე და პაატა კაჭარავა, რომლებიც ასრულებდნენ საბრძოლო ამოცანას, დაიღუპნენ საბრძოლო მანქანის აფეთქების შედეგად, თალიბებთან შეტაკებისას.

გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეები მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის შემადგენლობაში, ISAF-ის სამშვიდობო მისიის ფარგლებში ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდნენ.

## კოალიცია „ქართული ოცნების“ განცხადება

კოალიცია „ქართული ოცნება“ დიდ მწუხარებას გამოთქვამს ავღანეთში სამშვიდობო მისიის შესრულებისას სამი ქართველი სამხედრო მოსამსახურის - კაპრალების ვალიკო ბერაიას, რუსლან მელაძისა და პაატა კაჭარავას დაღუპვის გამო და თანაგრძნობას უცხადებს მათ ოჯახებს და მთელ საქართველოს.

## სააკაშვილი უგულავას და შაშკინს შემოსწყრა! ③



## საქართველოს სხვა შეძახილი სჭირდება ⑤



## დარჩიაშვილო დავით, თავით იფიქრეთ, თა-ვით! ②




## ირანის კონფლიქტი კავკასიასაც გადმოსწვდება? ⑧

## ჟამგამძლე მტვრის თავგადასავალი

სურნელოვანი ღვინის დაყენების ტექნოლოგიას ჩვენი წინაპარი თურმე ჯერ კიდევ 8 ათასი წლის წინათ ფლობდა ⑥



◉ „უხილავი“ დირე?!

# დარჩიაშვილო დავით, თავით იფიქრეთ, თა-ვით!

**ბუნებრივი კითხვა, რომელიც საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის ტვინის ერთმა გამონაჟურმა გამიჩინა და ასევე ბუნებრივად გაჩენილი კონტრშეკითხვა, რომლის პასუხსაც მისგანვე ველოდები**

**ყოველგვარი** შესავლის გარეშე გაგაცნობთ, ძვირფასო მკითხველო, ზემოხსენებულ ტვინის გამონაჟურს, რომელიც უფალ დარჩიაშვილს „რეზონანსის“ ფურცლებზე „გადმოუნთხევია“ და გუშინ წავიკითხე.

**„ბატონ გურამ ოდიშარიას პიროვნულად პატივს ვცემდი ყოველთვის მისი წარსულის, მისი მოთხრობების გამო და ნინელი ჭანკვეტაძის მიერ შესრულებული როლები მომწონდა და მომწონს, მაგრამ მათი პოლიტიკასთან დაკავშირება და მათ მიერ აშენებული პოლიტიკა არის ძალიან საეჭვო. მაპატიეთ და, ამაზე ცოტა მეცინება“.**



მადლობა ღმერთს, ბატონი გურამიც და ქალბატონი ნინელიც ისეთი პიროვნებები გახლავან, რომელთაც ვერც მოქალაქეობრივ პოზიციას დაუწუნებს ვინმე და ვერც – შემოქმედებას.

თანაც ვერც ადრინდელს და ვერც – ამჟამინდელს!

ამას თავად დარჩიაშვილიც „აღიარებს“. მაშ, რად გახდნენ ისინი ამ „იარი“ ნაცმოელის საშიზნე და „დარგობრივი“ ქილიკის საგანი?

**მიზეზი უმარტივესია: მხოლოდ იმიტომ, რომ ნაცმოძრაობის საპირწონე პინაზე გაბედეს შედგომა!**

არვარგა, დემოკრატო დავით დარჩიაშვილო, ასეთი შეუწყნარებლობა, ან, თუ თქვენი „ბელადის“ საყვარელი ტერმინოლოგიით ვიმეტყველებთ, „ნულოვანი ტოლერანტობა!“

**რაო, რაკი თქვენსავით და თქვენნაირი რამდენიმე ნაცმოელივით ბაგრატიონთა პირდაპირი შთამომავლები არ არიან,** ოდიშარიებსა და ჭანკვეტაძეებს არა აქვთ პოლიტიკაში მოსვლის და ხალხისთვის სასიკეთო საქმეების კეთების უფლება?

თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა და სხვა დროისთვის გადავდოთ. ახლა კი თქვენს „ცოტა მეცინებაზე“ ვთქვათ ორიოდ სიტყვა: **მათს გაპოლიტიკოსობაზე ცოტა მეცინებაო, რომ ამბობთ, სხვა ან სხვაგან, თუნდაც „თქვენს წიაღში“ ვერვინ ნახეთ „ცოტათი გასაცინებელი?“**

ახლავე დავაკონკრეტებ სათქმელს. თანაც, რაკი ოპოზიციონერმა „ქალ-ვაჟმა“ „გაგაცინათ ცოტათი“, **მეც ანალოგიურ „დუეტს“ დაგისახელებთ თქვენი ამჟამინდელი საპარლამენტო უმრავლესობიდან,** რათა „შესადარისობა“ და ელემენტარული სამართლიანობა დავიცვა, თორემ იმდენი ასეთი „დუეტის“, „ტრიოსა“ თუ „კვარტეტის“ დასახელება შემიძლია!!!

ჰოდა, თქვენს საყვარელ ნაცმოძრაობის გენერალურ მდივანს, საპარლამენტო უმრავლესობის თავკაცს თუ სულაც თქვენს სათაყვანო **„თლად იმას“** გაფიცებთ, დავით ბატონო, გულზე ხელი დაიდეთ და იმავე სიალალით თქვით მათზეც, რომ მათი წარსულიც და შემოქმედებაც ისევე მოგწონთ, როგორც ბატონი გურამისა თუ ქალბატონი ნინელისა.

**ვის ვგულისხმობ?**

**ვის და, მამრთაგან თუნდაც ხაბაზს, კობას, მდედრთაგან კი, ასევე თუნდაც – ოჩიაურს, ხათუნას.**

**ამ არშემდგარი ინჟინრის (რამდენადაც ვიცი, „გეპეიში“ სწავლა არ დაუმთავრებია) კობა ხაბაზისა რა მოგწონდათ თქვენს ე. წ. „რევოლუციამდე“ – მისი აშენებული ხიდები ან სახლები თუ სხვა საინჟინრო რამ შედევრი? ან იქნებ აჭარის ჯანდაცვის მინისტრად(?!) მუშაობისას მოგხიბლათ მისმა პროფესიულმა თუ არა (ისიც კი არ იცოდა, ადამიანის რომელი ორგანო გამოიმუშავებს ნაღველს), სამენეჯერო თვისებებმა მაინც? ან იქნებ, თქვენი აზრით, მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკოსობის შესაშურ-შესანატრი თვისებებით ხიბლავს ვინმეს?**

**თქვენი არ ვიცი და, მისი ე. წ. „კანონმდებლობის“ გამო იცით რამდენი ვინმე (ძველი ქართულით თუ ვიტყვით, ბევრის ბევრი კი არა, უშტის უშტიც კი!), რუბიკ ხაჩიკიანისა არ იყოს, „ტაკ ხახატალსია“ და ახლაც კვდება სიცილით (პოლიტიკოსი ხათუნა ოჩიაურის დახასიათებისგან თავს შევიკავებ, რაც არ უნდა იყოს, მანდილოსანია მაინც!)?**

ამიტომაც, ბატონო საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარევ, თქვენს ასეთ „შემწყნარებლურ“ ხუმრობა-კრიტიკაზე, მაპატიეთ და, მეც ცოტა მეცინება.

**ჰოდა, უფალო დავით, სანამ მსგავს რამეს იტყოდეთ, თავით იფიქრეთ, თა-ვით!**

**იმ თავით, რომლის „ტერიტორიაზეც“ „ბინადრობენ“ ერთთავად სხვათა საქციელის განჩხრეკისა თუ სხვათა თვალში ბეწვის პოვნის მსურველი თქვენი თვალები, ძალიან ხშირად საკუთარში დირესაც რომ ვერ ამჩნევენ.**

**სხვათა შორის, იმავე „ტერიტორიაზე“, კერძოდ, შუბლზეა ის ძარღვიც, რომელსაც, ყველამ ვიცით, რაც ჰქვია, და რომელიც ადამიანს, წესით, არ უნდა აძლევდეს, ამ შემთხვევაში, „ცოტა გაცინების“ უფლებას!**

რუსლან რუსია

◉ ინფორმაცია

## საქართველოში ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა 2013 წელს იგეგმება

**ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინფორმაციით, ფარავნის ქარის ელექტროსადგურს ჩეხური კომპანია „Wind Energy 6nvest“ააშენებს.**

**ქარის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 50 მგვტ იქნება, ხოლო წლიური გამომუშავება – 170 მლნ კვტ.საათი.**

**ჩეხური ინვესტიციების მოცულობა 100,80 მლნ აშშ დოლარით არის განსაზღვრული**

## ჩინოვნიკები მოსწავლეების ხარჯზე მდიდრდებიან

**„ქართული დასის“ ლიდერისა და პარლამენტარ ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, ქართველი მოსწავლეების ხარჯზე განათლების სამინისტროს ჩინოვნიკები მდიდრდებიან. ჯონდი ბაღათურიამ ჟურნალისტებთან ერთად „ბავშვთა სამყაროს“ შენობაში წიგნების ბაზრობა დაათვალიერა და ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ სასწავლო სახელმძღვანელოებს არარეალური ფასი აქვს.**

**მისი განცხადებით, მწარმოებლებს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, თითო წიგნის დაბეჭდვა 3 ლარამდე უჯდებათ, ხოლო ქართულ ბაზარზე წიგნები 10-დან 20 ლარამდე ღირს. ჯონდი ბაღათურიას თქმით, განათლების სამინისტრო ლობირებს წიგნებზე ფასებს და შემოსული თანხები განათლების სამინისტროს ჩინოვნიკების ჯიბეებში ილექება.**

**– სასკოლო წიგნებზე მონოპოლისტური ვითარებაა, სპეკულაციური ფასებია და კორუმპირებული, უსინდისო განათლების სამინისტროს ჩინოვნიკები მოსწავლეების ხარჯზე მდიდრდებიან, – განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.**

## ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდება

**ჩერქეზული კულტურის ცენტრსა და „ჯეიმსთაუნის ფონდს“ შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდება.**

**ღონისძიებას ამერიკის შეერთებული შტატებიდან საგანგებოდ ჩამოსული „ჯეიმსთაუნის ფონდის“ პრეზიდენტი გლენ ჰოვარდი დაესწრება.**

**მემორანდუმის ფარგლებში ძირითადი თანამშრომლობის სფეროები პოლიტოლოგიურ-სამეცნიერო კვლევები, ერთობლივი კონფერენციების ჩატარება და სასარგებლო ინფორმაციების ურთიერთგაცვლაა.**

**ჩერქეზული კულტურის ცენტრში თვლიან, რომ მემორანდუმის მუხლების ფუნქციონირება კავკასიის რეგიონში უფრო ინტენსიური და შედეგებზე ორიენტირებული თანამშრომლობის მისაღწევად სამომავლოდ ნოყიერ ნიადაგს შექმნის.**

**„ჯეიმსთაუნის ფონდი“ აშშ-ის ერთ-ერთი უმსხვილესი პოლიტიკური კვლევითი ცენტრია და მისი კვლევები ისეთ მნიშვნელოვან რეგიონებს მოიცავს, როგორიცაა კავკასია, ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა, ჩინეთი, სამხრეთ ამერიკა, პოსტსაბჭოთა სივრცე და ბალკანეთი.**

ინტერპრესნიუსი

◉ ინფორმაცია

## არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების პეტიცია და საკანონმდებლო წინადადებები 100 საერთაშორისო ორგანიზაციას გაეგზავნა

**როგორც კამპანიაში – „ეს შენ გეხება“ – ჩართული მედია და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებაშია აღნიშნული, პეტიცია და წინადადებათა პაკეტი მიიღო საქართველოში აკრედიტებულმა დიპლომატიურმა კორპუსმა – აშშ-ის, ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ჰოლანდიის, შვედეთისა და სხვა საელჩოებმა.**

**ასევე, პეტიცია და საკანონმდებლო წინადადებები არასამთავრობოებმა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, ნატოს, ევროკომისიას, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტს, ეუთოს, ამერიკის რესპუბლიკურ და დემოკრატიულ ინსტიტუტებს, ვენეციის კომისიას და სხვა ორგანიზაციებს გაუგზავნეს.**

**პეტიციაში, რომელსაც 200-ზე მეტი ხელმომწერი ჰყავს, ნათქვამია:**

**„არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები, ვაცნობიერებთ რა სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების მნიშვნელობას, კატეგორიულად მიუღებლად მივიჩნევთ ამ საკითხთან დაკავშირებით 2011 წლის დეკემბერში მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც: ზღუდავს სამოქალაქო აქტივობას, საკუთრების უფლებას, გამოხატვისა და პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლებას, აფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას; მძიმე და გაუმართლებელ პასუხისმგებლობას აკისრებს ამომრჩეველს; განუსაზღვრელ და არაკონსტიტუციურ უფლებამოსილებებს ანიჭებს პარტიების დაფინანსების მთავარ მაკონტროლებელს - საქართველოს კონტროლის პალატას; სერიოზულ საფრთხეებს უქმნის როგორც თითოეულ მოქალაქეს, ისე სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, მედიას; აუარესებს საარჩევნო გარემოს ქვეყანაში.**




**ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას“, – ნათქვამია პეტიციაში.**

ინტერპრესნიუსი

◉ ტერაქტი

# ალექსანდრე ანქვაბს თავს დაესხნენ

**დაჭრილია მისი პირადი დაცვის ორი თანამშრომელი, ერთი კი გარდაიცვალა.**

**– უცნობმა პირებმა პრეზიდენტის ავტომანქანა დაცხრილეს. სახელმწიფოს მეთაური არ დაზარალებულა, – განაცხადეს სოხუმში. თავდასხმის დროს ანქვაბი ავტომანქანა „ტოიოტაში“ იმყოფებოდა, მას დაცვა გადაეფარა.**

თავდასხმა მაშინ მოხდა, როცა ანქვაბი სამსახურში მიდიოდა.

„მე არაფერი მომსვლია, ახლა არ მცალია“, – განუცხადა თავად ანქვაბმა სააგენტოს. ხოლო ე.წ. სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსის ანრი ბოგუას თქმით, ამ მომენტისათვის ანქვაბი ადგილზე იმყოფება და ჩვეულებრივ, განაგრძობს მუშაობას.

ანქვაბის მანქანას ცეცხლი ცეცხლსასროლი იარაღიდან გაუხსნეს, მეორე ვერსიით კი კორტეჟის მიმართულებით რამდენიმე ფუგასი აფეთქდა, კორტეჟის ერთი ავტომობილი მთლიანად დაიწვა.

მიღებული მძიმე ჭრილობების შედეგად ანქვაბის დაცვის ერთი თანამშრომელი გუდაუთის საავადმყოფოში გარდაიცვალა, ორის მდგომარეობა კი ფასდება, როგორც, მძიმე.

ცნობილი გახდა ალექსანდრე ანქვაბზე თავდასხმის ახალი დეტალები. ინფორმაციას „ინტერფაქსი“ ავრცელებს. კერძოდ, უშუალოდ ანქვაბის ავტომობილის მიმართულებით სროლის პარალელურად, გზაზე, სადაც მისი კორტეჟი მოძრაობდა, რამდენიმე ფუგასი აფეთქდა. აფეთქების შედეგად კორტეჟის ერთ-ერთი ავტომობილი მთლიანად დაიწვა.

დე ფაქტო სამართალდამცველი ორგანოების ინფორმაციით, ანქვაბის ავტომობილს ტყვიამფრქვევიდან და ყუმბარმტყორცნიდან ესროდნენ. ამ დროისთვის თავდასხმის ადგილზე სპეციალისტები მუშაობენ, რათა ასაფეთქებელი მოწყობილობის სიმძლავრე განსაზღვრონ.

ინტერპრესნიუსი



## არმია

# 15-თვიანი სამსახური ნატოს სტანდარტებისათვის

საქართველოს „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არმიის მთლიანად პროფესიონალი ჯარისკაცებით დაკომპლექტებას აპირებდა, ბოლო ხანებში, ნატოს სტანდარტებთან მიახლოებისა და ქვეყნის თავდაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, სულ უფრო აფართოებს სავალდებულო სამხედრო გაწვევის კამპანიას. ბოლო საკანონმდებლო ცვლილებაც, რომელიც პარლამენტში განიხილება, სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადის 12-დან 15 თვემდე გაზრდას ითვალისწინებს, რაც მმართველი პარტიისათვის საკმაოდ არაპოპულარული ნაბიჯია მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ. თუმცა ოპონენტები ხელისუფლებას სწორედ პოპულიზმსა და არმიის ბრძოლისუნარიანობის შესუსტებაში სდებენ ბრალს.

როგორც საქართველოს პარლამენტის უმცირესობის წევრმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ უთხრა დამოუკიდებელ ქართულ ტელეკომპანია „მაესტროს“, საკანონმდებლო ცვლილებით ხელისუფლება ცდილობს გამოუცდელი წვევამდელებით ჩაანაცვლოს ის პროფესიონალი ჯარისკაცები, რომლებსაც ქვეყნიდან შორს მოუწევთ საბრძოლო მოვალეობის შესრულება.

„ნატოს სტანდარტებთან მიახლოება ეს არის მხოლოდ ოფიციალური საბაბი, რათა გაიზარდოს შემადგენლობა, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს საკონტრაქტო სამსახურით გათვალისწინებული ჯარისკაცების ყოფნა ქართულ არმიაში, ვინაიდან ეს არის ბიუჯეტთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემა. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, რომ საქართველომ აიღო შეერთებული შტატების წინაშე ვალდებულება, რომ ISAF-ის (ავღანეთის უსაფრთხოების მხარდამჭერი ნატოს საერთაშორისო ოპერაცია) პროგრამაში კიდევ ჩართავს ერთ ბატალიონს. ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყნიდან საკონტრაქტო მოსამსახურეების გადინება იქნება გარანტირებული.“

### სადაც 12, იქაც 15

დეპუტატ ლორთქიფანიძეს მხედველობაში აქვს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება, 2012 წლის გაზაფხულზე კიდევ 750 ჯარისკაცით გაზარდოს ქართული სამხედრო მისია ავღანეთში, რაც საქართველოს, როგორც ნატოს არაწევრ ქვეყანას, ავსტრალიის შემდეგ კოალიციის ყველაზე მსხვილ კონტრიბუტორად გახდის. ბუნებრივია, ყველა ზედმეტი ჯარისკაცი საზღვარგარეთ საჭიროებს სათანადო შემცვლელს ადგილზე, რათა არ წარმოიშვას ვაკუუმი სამხედრო სტრუქტურებში. თუმცა ამ პრობლემის მოსაგვარებლად საქართველოს ხელისუფლებამ უკვე დაიჭირა თადარიგი და გასული წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო კამპანიების დროს არმიაში ორჯერ მეტი ჯარისკაცი გაიწვია და სამხედრო გაწვევაზე პასუხისმგებელი უწყების – საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა რამაზ ნიკოლაიშვილმა საზეიმოდ განაცხადა, ხელისუფლება მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებსო:

„7500 კაცს გავიწვევთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში. სულ წლის განმავლობაში ეს ციფრი იქნება 15 ათასი, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და სარეკორდოა. ასევე მინდა გითხრათ, რომ ეს გაწვევა მოხდება ახალი გამწვევი პუნქტის პირობებში, რომელიც ჩვენ ავაშენეთ თბილისში, და წვევამდელებს ღირსეულად და კომფორტულად მოუწევთ სამედიცინო შემოწმების გავლა.“

სამხედრო გამწვევი სამოქალაქო პუნქტები წვევამდელებს ოთხ სახელმწიფო დაწესებულებას – თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, სასჯელაღსრულებით დაწესებულებასა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს – უგზავნიან. გასაწვევი რესურსის ყველაზე დიდი მომხმარებელი კი, ცხადია, თავდაცვის სამინისტროა, რომელმაც, შევსების სახით, შარშან 5000 წვევამდელი მიიღო. სამხედრო სამსახურის ვადა სამხედრო ვალდებულების მქონე პირთათვის 12 თვეს შეადგენდა, მაგრამ თავდაცვის სამინისტრომ მოამზადა პროექტი, რომელიც სამხედრო სამსახურის ვადის სამი თვით გახანგრძლივებას მოითხოვს. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორია საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი კახა სუხიშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ „დადგენილი 12 თვე არ არის საკმარისი სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული პირების შესაბამისად მომზადებისათვის“:



„ის პროგრამები, რაც არის გათვლილი ტაქტიკური მეცადინეობის, თეორიული და ფიზიკური აღზრდის ნაწილში, ანუ ნატოს სტანდარტებთან მიახლოებული პარამეტრები... აქედან გამომდინარე, ფიზიკურად ვერ ხერხდებოდა ამ პროგრამების 12 თვეში გაწერა და, აქედან გამოდინარე, ჩვენ თავდაცვის სამინისტროსთან ერთად გავიარეთ ეს საკითხი და გადავწყვიტეთ, რომ გაგვეზარდა და 15 თვის ვადით განსაზღვრულიყო სამხედრო სავალდებულო სამსახური.“

### საზოგადოებრივი ინტერესი და პარტიული მიზანშეწონილობა

თუ რა პარამეტრებზეა საუბარი, კახა სუხიშვილს ჩვენთან საუბარში არ დაუზუსტებია. თუმცა ცნობილია, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ორწლიანი სავალდებულო სამხედრო სამსახური 12 თვემდე დაიყვანა, ხოლო გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისათვის – მაგალითად, სტუდენტებისათვის – თამასა საერთოდ 6 თვემდე დასწია.

იმხანად სამხედრო გაწვევა კორუფციის ბუდეს წარმოადგენდა, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეული ჯარისკაცები კი, არმიის ქრონიკული დაუფინანსებლობისა და ყაზარმებში ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების არარსებობის გამო, მასობრივად ტოვებდნენ არმიას, სამხედრო ნაწილებში გავრცელებული იყო თვითმკვლელობა და ე.წ. „დედოვშჩინა“, ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრა. ამჯერად საქართველოს არმიას აქვს მაღალი სტანდარტების ყაზარმები, სასწავლო კლასები, სამედიცინო პუნქტები და სასადილოები. მკაცრად კონტროლდება დისციპლინა, წარსულს ჩაბარდა დეზერტირობა და სხვა არასაწესდებო ურთიერთობები. თუმცა კიდევ სამი თვით სამხედრო სამსახურის გაზრდას სჭირდება კონსენსუსი ძირითად პოლიტიკურ ძალებსა და, მათ შორის, შესაბამისი ახსნა-განმარტება წვევამდელებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის. თუმცა, როგორც საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორების საუბრიდან ირკვევა, მმართველმა პარტიამ საკითხი ამჯერადაც პარტიის შიგნით გადაწყვიტა:

„მესმის, შეიძლება ახლა ვიღაცისთვის ერთი დღე ერთი წელი იყოს, შეიძლება პირიქითაც... დამერწმუნეთ ახლა, კანონი არ იქმნება იმისათვის, ვის მოეწონება და ვის არ მოეწონება. ჩვენ გამოვდივართ იმ მიზანშეწონილობიდან, რაც ჩვენს პოლიტიკურ ძალას მიაჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ამ მიმართულებაში იყოს, საქმიდან გამომდინარე, უკეთესი, თორემ 70 პროცენტზე მეტს ახალგაზრდობისა შეიძლება საერთოდ არ სურდეს ჯარში წასვლა. ახლა მაგათზე ხომ არ უნდა იყოს დამოკიდებული, ვის გაუხარდება და ვის არ გაუხარდება?“

დეპუტატი მართალია: კანონის წინაშე, ცხადია, ყველა ვალდებული უნდა იყოს. ქვეყნის თავდაცვის საკონსტიტუციო მოვალეობას კი მოხელეთა მთავარ საზომად მიიჩნევდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც 2004 წელს რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში ასეთი პირობა დადო:

„ერთი რამე მინდა ვთქვა, რომ თუ რომელიმე ადამიანი დაინიშნება მთავრობაში, რომლის შვილიც არის გაწვევის ასაკის და არ გამოცხადდება გასაწვევ უბანზე, ეს კაცი უნდა მოიხსნას.“

თუ როგორ შესრულდა საქართველო სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ეს 8 წლის წინანდელი დანაპირები და რამდენმა მაღალჩინოსანმა მოხელემ ანდა მათმა შვილებმა გაიარეს სამხედრო სავალდებულო სამსახური ქართულ ჯარში, ამის შესახებ ჩვენ მომდევნო სამხედრო პროგრამაში ვისაუბრებთ. მანამდე კი გეტყვით, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებას პარლამენტის უბრალო უმრავლესობის თანხმობა სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე საგაზაფხულო გაწვევისათვის მოქალაქეებს სავალდებულო ჯარში 12-ის ნაცვლად, 15 თვით გაიწვევენ. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ იმ კატეგორიის მოქალაქეები, რომლებსაც სამხედრო ვალდებულებიდან მოქმედი კანონით გათვალისწინებული პირობები ათავისუფლებს.

**კოპა ლიკლიკაძე,**
რადიო „თავისუფლება“

## მაჟორიტარების პრობლემა

# სააკაშვილი უგულავას და შაშკინს შემოსწყრა!

*წინა კვირას საპარლამენტო არჩევნების თარიღის გადმოწევასთან დაკავშირებით ატეხილმა აჟიოტაჟმა, რომელიც სახელისუფლებო არასამთავრობო ორგანიზაციამ წამოიწყო, მთლიანად გადაფარა კვირის დასაწყისში პრეზიდენტთან საპარლამენტო უმრავლესობის შეკრების ფაქტი. არადა, ცხადია, უმნიშვნელო არ უნდა იყოს ის, თუ რატომ ხვდება ქვეყნის პრეზიდენტი მხოლოდ უმრავლესობას.*

*თავისთავად ის ფაქტი, რომ ქვეყნის პრეზიდენტი პოლიტიკოსთა მხოლოდ ერთ კლანს ხვდება, ცალკე თემაა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მას უბრალოდ მხოლოდ მეხოტბეებთან შეუძლია შეხვედრა, რომლებიც თავს ნებისმიერ რამეზე უსიტყვოდ დაუქნევენ და პოლიქრონიონსაც უმღერებენ. ამ შემთხვევაში კი გაცილებით მნიშვნელოვანი ის არის, რისთვის შეკრიბა ქვეყნის პრეზიდენტმა მორჩილი უმრავლესობა.*

იმის გამო, რომ სწორედ ამ შეხვედრას მოჰყვა ხელისუფლების მომხრე არასამთავრობო ორგანიზაციის მოულოდნელი განცხადება საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანასთან დაკავშირებით, რითაც საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის გადმოწევა უნდა მოეთხოვათ, გაჩნდა ეჭვი, რომ პრეზიდენტთან შეხვედრაზე სწორედ მსგავსი სქემების გათამაშებაზე იყო საუბარი. მით უმეტეს, რომ ახლა სწორედ ხელისუფლების ინტერესში შედის არჩევნების ვადამდე ჩატარება და ამაზე ამ დღეების განმავლობაში ბევრი დაიწერა.



შესაძლოა, ეს თემა მართლაც განიხილეს თუნდაც ნიადაგის მოსინჯვისთვის. თუმცა, **presage.tv**-ს ინფორმაციით, ამ შეხვედრაზე სააკაშვილს სხვა საკითხებზეც მოუხდა საუბარი.

ერთ-ერთი მთავარი თემა კი ის იყო, რომ სააკაშვილს უმრავლესობა გაუფრთხილებია, მაჟორიტარებმა ხელისუფლებიდან წასვლა არ გაბედონო. თუკი მართლა გაბედავენ ეს მაჟორიტარები წასვლას, როგორ დასჯის სააკაშვილი უმრავლესობის ლიდერებს, ძნელი სათქმელია. თუმცა, საპარლამენტო არჩევნებისთვის სიაში ვერმოხვედრაც კარგი სასჯელი უნდა იყოს.

საინტერესო ის არის, რომ ხელისუფლების მთავარ ამოცანას ამჯერად მაჟორიტარების შენარჩუნება წარმოადგენს. თუკი იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ ბოლო დღეების განმავლობაში საპარლამენტო ოპოზიციის ყველა ფრთიდან გაკეთდა მაჟორიტარების გადაბირებაზე განცხადება, ადვილი შესაძლებელია, რომ ხელისუფლებას ამის რეალური საფრთხე აქვს. ცხადია, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ისეთი ფაქტები, როდესაც უმრავლესობა საკუთარი ნებით მისცემს მაჟორიტარ თარგამაძეს ან თორთლაძეს, რათა მათ უმცირესობა შეუნარჩუნოს. ცხადია, ეს ის შემთხვევაა, როდესაც პარტია მსხვერპლს ითხოვს.

უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ, როგორც ჩანს, ხელისუფლებას აქვს ინფორმაცია მათი მაჟორიტარების ივანიშვილის გუნდში წასვლასთან დაკავშირებით. ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილს ამ შეხვედრაზე უთქვამს, რომ არც ერთმა მაჟორიტარმა არ უნდა გაბედოს სადმე წასვლა და, ცხადია, სააკაშვილის ეს ტაქტიკა სრულიად გასაგებია, რადგან მაჟორიტარების წასვლას თითქმის არჩევნების წინ ორმაგი მნიშვნელობა ეძლევა. პირველი ის, რომ ხელისუფლებიდან ზოგადად ვინმეს წასვლა საზოგადოებაში ხელისუფლების რღვევის განცდას ქმნის და მეორე, მაჟორიტარებს ადგილებზე საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ და ხმების მომტანებად სწორედ ისინი ითვლებიან.

სწორედ ეს უკანასკნელი არის ის მიზეზი, რის გამოც ხელისუფლება მაჟორიტარების რაოდენობის შემცირებას ცოცხალი თავით არ თანხმდება. ამ მიზეზების გამო კი, ცხადია, სააკაშვილს ახლა მაჟორიტარების წასვლა არანაირად არ აწყობს და უმრავლესობას სწორედ ეს დავალება მისცა, რომ მაჟორიტარები რამენაირად შეინარჩუნონ.

რაც მთავარია, სააკაშვილს ისიც უბრძანებია, რომ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის“შეცვლა.

შეგახსენებთ, რომ დეკემბერში გამკაცრებული კანონი, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს მთელ რიგ აკრძალვებსა და შეზღუდვებს უწესებს, ასევე ვრცელდება ყველა იმ პირზე, ვინც პირდაპირ ან ირიბად არის დაკავშირებული პარტიასთან და რეალურად გამოდის, რომ პარტიებს მოქმედება ყველანაირად ეზღუდებათ სხვადასხვა ფაქტორის გამო. ამიტომაც არასამთავრობო სექტორი ამ კანონის შეცვლას ითხოვს. სააკაშვილს კი უმრავლესობისთვის უთქვამს, რომ ამ კანონს ხელი არ ახლონ.

ამასთან, სააკაშვილს ისიც უთქვამს, რომ საარჩევნოდ მაქსიმალურად უნდა მოხდეს მოსახლეობის დაკმაყოფილება და უგულავას მისამართით უკმაყოფილებაც გამოუთქვამს იმის გამო, რომ დედაქალაქში მოსახლეობის ისედაც დიდ უკმაყოფილებას უფრო მეტად აძლიერებს იმ ცალკეული სოციალური, საგადასახადო გადაწყვეტილებებით, რაც დედაქალაქის მოსახლეობას თავს ატყდება.

ასე რომ, ამ ეტაპზე სააკაშვილი უგულავათია უკმაყოფილო. სხვათა შორის, უკმაყოფილება შაშკინის მისამართითაც გამოუთქვამს იმის გამო, რომ მას მასწავლებლები ტერორში ჰყავს.

ცხადია, რაც დრო გავა, ეს ყველა პრობლემა უფრო მოიმატებს. ამიტომაც ახლა ყველაზე მეტად ხელისუფლებას აწყობს, რომ არჩევნებმა გადმოიწიოს და გამორიცხული არ არის, რომ ამ მხრივ საზოგადოების აზრის მოსინჯვა სწორედ ამ შეხვედრაზე გაჟღერდა და ეს როგორ დამთავრდება, ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია.

**თეონა ხარაბაძე**

ჩვენი მწარე რეალობა



# პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლა — კვლავ პიარი და ბაქი-ბუქი!..

**სააკაშვილი პარლამენტში მორიგი პიარგამოსვლისთვის ემზადება. ქვეყანა და პოლიტიკური სპექტრი ახალ „არნახულ წარმატებებზე“ გაბმულ ტირადებს ელის. სამწუხაროა, რომ ხელისუფლების მიერ დახატული სურათები და არსებული რეალობა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება.**

ამ ფონზე, პარლამენტი პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას მომავალ კვირას მოისმენს. ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ბიუროს სხდომაზე განაცხადა.

„ყოველწლიურად, რეგლამენტის და დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი მობრძანდება პარლამენტში და აკეთებს ანგარიშს მიმდინარე მოვლენების, მისი და ხელისუფლების სამომავლო გეგმების შესახებ.

მე მქონდა კონსულტაციები პრეზიდენტთან და ის მზად არის მომავალ კვირაში მობრძანდეს და წარსდგეს დეპუტატების წინაშე“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. მანვე განმარტა, რომ ზუსტი თარიღი რამდენიმე დღეში დაზუსტდება პრეზიდენტთან დამატებითი კონსულტაციების შემდგომ.

ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით, პრეზიდენიტის გამოსვლის შემდეგ პარლამენტი მუშაობას რეგლამენტის 138-ე მუხლის შესაბამისად გააგრძელებს, რაც პოლიტიკური დებატების გამართვას გულისხმობს.

ამასთან დაკავშირებით უმრავლესობის წევრმა გოკა გაბაშვილმა სააკაშვილსა და უმრავლესობის წევრებს შორის გამართული შეხვედრის შემდეგ აღნიშნა, რომ პარლამენტში გამოსვლისას პრეზიდენტი ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროექტზე შეაჩერებს ყურადღებას.

გაბაშვილის თქმით, გამოსვლა შეეხება ჰოსპიტალური სექტორის რეაბილიტაციას და მნიშვნელოვან პროექტებს განათლების სფეროში. მისი თქმით, პრეზიდენტთან შეხვედრაზე, ასევე საუბარი შეეხო ამერიკაში მის ვიზიტს და იმ პერსპექტივებს, რომელიც ქვეყანას ამ ვიზიტიდან გამომდინარე ექმნება:

„თავისუფალი ვაჭრობის საკითხები ეხება როგორც ამერიკას, ასევე ევროკავშირს. გარდა ამისა, მოლოდინს, რომელიც უსაფრთხოების სფეროში ნატოსთან და ამერიკასთან თანამშრომლობას ეხება“.

კიდევ რა პრობლემატიკაზე გაამახვილებს ყურადღებას სააკაშვილი პარლამენტში, ამაზე პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძეს** ვესაუბრებით:

— პრეზიდენტის გამოსვლას, მით უმეტეს პარლამენტში, არსებული პრობლემატიკის რაოდენობა არ განსაზღვრავს ხოლმე. ამას ხშირად ისეთი ხასიათი აქვს, რომ სურს უფრო დაიკვეხნოს, ვიდრე იმ რეალურ სირთულეებზე ისაუბროს, რაც ხელისუფლების წინაშეა.

გახსოვთ, პარლამენტში აქცენტები ჩვენი დროის გმირებზე და ა.შ. სააკაშვილი საკანონმდებლო ორგანოში გამოსვლას უდგება არა როგორც დიალოგს პოლიტიკურ კოლეგებთან, პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის, არამედ როგორც პიარით დატვირთულ გამოსვლას მოსახლეობის წინაშე. ამას გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევს.

მით უმეტეს, ეს ასპექტი ამჟამად უფრო მნიშვნელოვანი იქნება; ჯერ ერთი საპარლამენტო არჩევნები კარზეა მომდგარი და განსხვავებით სხვა პერიოდებისგან, მძაფრი კონკურენციაა მოსალოდნელი. ამიტომ მგონია, რომ ლაპარაკი იქნება მისი თვალსაწიერიდან დანახულ წარმატებებზე. საერთაშორისო არენაზე მიღწევებს ხაზი გაესმება; რომ ნატოსთან და ევროკავშირთან მიახლოებულნი ვართ ისე, ვიდრე ოდესმე და ა.შ.

ალბათ, იმაზეც იქნება მსჯელობა, რომ ვიღაცებს რუსული ფულით კრემლის შავბნელი გეგმების განხორციელება სურთ, ანუ პოლიტიკურ ოპონენტებთან ტრიბუნიდან ერთგვარ ანგარიშსწორებასაც უნდა ველოდოთ. მეეჭვება, რომ სხვა მხრივ რაიმე მკვეთრი ნაბიჯები გადაიდგას.

კიდევ ალბათ, სამომავლო გეგმებზე იქნება საუბარი. ისეთებზე, რომლებიც სრულდება არა 2012 წელს, არამედ ცოტა იქით. ნაჩვენები იქნება, რომ ეს გეგმები უფრო შორს მიდის, ვიდრე მისი ამჟამინდელი უფლებამოსილება. ამით გამოჩნდება ამ პოლიტიკოსის პერსპექტივების ხედვა; თუ რა პროცესები გაღრმავდება იმ შემთხვევაში, თუ ეს ფიგურა და მისი პოლიტიკური გუნდი ხელისუფლებაში დარჩება.

**— „საერთაშორისო მიღწევები“ახსენეთ; შიდა პოლიტიკაში რა იქნება „დასაკვეხნი“; პირველ რიგში სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ვგულისხმობ.**

— როგორც მინიმუმი, საუბარი იქნება პენსიის მომატებაზე. დასაკვეხნი იქნება დახმარებები. მოსალოდნელია, რომ თავმოწონების საგანი ისევ აღმოჩნდება დევნილების ახალი დასახლებები, საავადმყოფოების რაოდენობა. ვვარაუდობ, რომ ეს თემები სააკაშვილის გამოსვლაში კვლავ აისახება.

**— რა კითხვები უნდა დაუსვას პრეზიდენტს იმ ოპოზიციამ, რომელიც დღეს პარლამენტში არის წარმოდგენილი?**

— მაგალითად, წინა სტუმრობისას საკმაოდ მძაფრი იყო ოპოზიციის გამოსვლები. მაგრამ ისინი ქვეყნის პირველი პირისთვის საყურადღებოც კი არ გამხდარა. დაიწყო ისევ ციფრებით მანიპულირება, მერე ოპოზიციური გამოსვლები გააშარჟა და შესაბამისად, დაიკარგა ის მუხტი, რაც საკმაოდ მწვავე განცხადებებს შეიძლება ჰქონოდა.

ამდენად, მეეჭვება, რომ აზრი ჰქონდეს ოპოზიციურ გამოსვლებს დღევანდელ პარლამენტში. მიაჩნიათ, რომ რახან მათია ხმების უმრავლესობა, ამიტომ ოპოზიციის გამოსვლა მათთვის სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენს. ბოლოს და ბოლოს, კენჭისყრის შედეგებს უმრავლესობის წარმომადგენლები განსაზღვრავენ. ამით ყველაფერი ნათქვამია.

**მერაბ ბრეგაძე,**
Presage.tv

სახელდახელო ჩანაწერები

# ქუთაისი „მერსედესის“ ფანჯრიდან...

მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი — გულღიად, ალალად...

— არ გინდა, სიმონ, მიშაიეს აშენებული ქუთაისი დაგათვალიერებიო?.. მოდი, ჩაჯექი მანქანაში... — და, ჩემი ბავშვობის მეგობარი ზაურ ტრიფონიჩი თვითონ მიღებს „მერსედესის“ წინკარს... ვჯდები. ღვედი, ღვედი გადაიკარი, თვარა მეტი კი არ უნდა პატრულს!

— რა შობი, ზაურა, რაფერ ცხოვრობთ?!.

— ვჯობივარ ჩემზე უარესს... გაგვაქვს თავი... ვიჩხუბე ახლა სახლში და წამევედი.

ვატყობ, ვერ არის ტრიფონიჩი „ღადაობის“ ხასიათზე.

— რა იყო, რა მოგივიდა?..

— წყალზე მრიცხველები დააყენეს, ბიჯო, ამ ჩემანალებმა. გადაირევი პირდაპირ: სანამ წყალს გაუშვებენ, მილებში შეპარული ქარი ატრიალებს მრიცხველს და, მიდიიიი... იწერება და იწერება... წინეებზე 21 დღეში 56 ტონა იყო დაწერილი... ესე იგი, რამდენი გამოდის დღეში?.. ერთი მეზობელი მყავს — მოხუცებული ქალი, მარტო ცხოვრობს, მთელი დღე გარეთ ზის და „სემიჩკას“ ყიდის... თითქმის სულ არ ხმარობს წყალს. იმ დღეს მეუბნება — მივედი სახლში და 60 ტონა წყალი დამხვდა „სოჩიკზე“ დაწერილიო... ვიჩხუბე ამ დილას ცოლს, ცოტ-ცოტა იხარეთ ეს წყალი, ეს უპატრონოთქვა... სულ არ იყო ქუთაისში წყალი და ქე ვცხოვრობდით!..

— უნდა გამეიყვანო ხალხი ტრიფონიჩ, უნდა გააპროტესტო... — ვაგულიანებ მე.

— აპროტესტე რამდენიც გინდა, „მიშისტებს“ შენ მეერევი?!.

საირმის გახსნაზე სამი ავტობუსი ხალხი ჩეიყვანეს ტაშის დასაკვრელად და „მიშა“, „მიშას“ საძახებლად... ცირკი ის იყო, ბაღდათში საავადმყოფოს გახსნაზე ისევ იმ ავტობუსებით, ისევ ის ხალხი რომ მიიყვანეს ტაშის დასაკვრელად... ა, შეხედე, შეხედე!.. ეს ახალი კინოთეატრის შენობაა... ხო ხედავ, ხარაჩოებში როა, ჩამევიდა მიშა, სასწრაფოდ მოხსნეს ხარაჩოები, დაანახეს „უფროსს“ „აშენებული“ კინოთეატრი და მეორე დღეს ისევ ხარაჩოებში ჩასვეს... ასე აშენებენ მაგენი... კომუნისტების ლოზუნგი: „ვაშენოთ სწრაფად, იაფად და კარგად!“ მიმიქარავს!.. ასე „ააშენეს“ იუსტიციის სახლი... ასე აშენებენ პარლამენტის შენობას... ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!.. აი, დეინახე, პარლამენტის შენობა ხო ნახევრადაა აშენებული, 26 მაისს მაინც გახსნის მიშა და დეიტრაბახებს, თუ შენდება, ახლა შენდება საქართველოო... ვაი, მაგენის პატრონს!.. არი ასე ეს შენი საყვარელი ქუთაისი... თუ რამე იშოვება, ძვირია... სვანი ჩევიდა ქუთაისიდან თბილისში, შევიდა მაღაზიაში, გეიარგამეიარა... რა ხდება, თქვენთან რომ ყველაფერი არისო? — გაკვირვებული ეკითხება გამყიდველს. ეს, გენაცვალე, თბილისია, საქართველოს დედააო... იმისთანა დედა რა ვიქვი, შვილები რომ მშვიდად ჭავსო... მარა, ჩემო ბურღუა, შენ სამყოფ პურმარილს, ნუ გეშინია, ქე ვიშოვი... მაცალე ერთი, ნათელას დავურეკო და ჩამოვჯდეთ ჩემ ბუხართან ზალაში!..

და ზაური მობილურს იმარჯვებს...

**ვილენ მარდალეიშვილი**



ჩვენი პრესდაიჯესტი

### მივმართავ ყველა პატიმარს — ნუ ხართ ჩუმად!

პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებსა და, ზოგადად, ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე საუბრობს ადვოკატი ლია მუხაშავრია, — რაც უფრო მორჩილია მსჯავრდებული და თავს უხრის უსამართლობას, მით უფრო მკაცრია რეჟიმი მის მიმართ... ციხის ადმინისტრაცია მიმართავს დატერორების პოლიტიკას და ამიტომ ჰყავს დღეს საქართველოს ამდენი ნაცემი და დასახიჩრებული პატიმარი, — აღნიშნავს მუხაშავრია.

**„საქართველო და მსოფლიო“.**

### „ივანიშვილი სააკაშვილის ჩანაცვლებას არ აპირებს“

— ამბობს ექსპერტი გია ხუხაშვილი. მისი აზრით, ბიძინა ივანიშვილს საკმაოდ დიდი დიაპაზონი აქვს და ივანიშვილი არ უდრის რესპუბლიკელებს. ხუხაშვილის აზრით, არასწორია, როცა ივანიშვილის ფულზე კეთდება აპელირება, რადგანაც ფული ხელისუფლებას გაცილებით მეტი აქვს.

**„ახალი თაობა“.**

### უხარისხო მზა საკვები და უფრო უხარისხო ნახევარფაბრიკატები

დიდ და ცნობილ სუპერმარკეტებში უფრო უხარისხო მზა პროდუქტები იყიდება, ვიდრე პატარებში.

დასაქმებული ხალხისთვის შესვენების დროს ჭამა საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. რთულია იპოვნო ხარისხიანი საჭმელი, თანაც არ უნდა დახარჯო ბევრი ფული.

**„რეზონანსი“.**

### სტუდენტები ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს იწყებენ?!

განათლების „წარმატებული“ რეფორმის შედეგი, სამწუხაროდ, მხოლოდ სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ჯიბეებს და მათ კეთილმოწყობილ კაბინეტებს დაეტყო. სტუდენტებმა და ლექტორებმა კი ვერ იხეირეს. რა ნიშნის მიხედვითაა რეფორმა წარმატებული, როცა 10 ათას სტუდენტს სტატუსი შეუჩერდა?! გალატაკებული მშობლები ველარ აფინანსებენ შვილების სწავლა-განათლებას. „დამოუკიდებელ სტუდენთა ასოციაციის“ თაოსნობით მალე დაიწყება ფართომასშტაბიანი აქციები სტუდენტთა უფლებების დაცვის მიზნით.

**„ქართული სიტყვა“.**

### როგორ ემზადება ხელისუფლება არჩევნებისთვის?

სანდო წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილს ველარაფერი უშველის, რადგან მას მარტო აშშ-მა კი არა, მთლიანად დასავლეთმა აქცია ზურგი.

ბენდუქიძემ რაღაც იყნოსა, თავისი კაპიტალის უდიდესი ნაწილი, სავარაუდოდ 400 მილიონი დოლარი, საბერძნეთში გაიტანა და იქ დააბანდა.

**„საერთო გაზეთი“.**

გლობუსი

**ივანიშვილის გამოღვიძებასთან ერთად გახშირდა ლაპარაკი იმაზე, რომ სააკაშვილის დღეები დათვლილია — პროცესი დაწყებულია და მას ვერაფერი შეაჩერებს. რომ იტყვიან თქვენს პირს შაქარი, ვინაიდან სააკაშვილმა და ნაცებმა არათუ მოაბეზრეს თავი ხალხს, არამედ სადისტურ-ცინიკური მმართველობით მიაღწიეს საკუთარი თავის მიმართ საზოგადოებაში ისეთი ზიზღის და შურისძიების გრძნობის ჩათესვას, უკეთესს, რომ ვერ ინატრებდა „მტერი“ რუსეთი.**

იოლად განხორციელებულმა „ვარდების რევოლუციამ“ ქვეყნის მართვის ასევე იოლი შეგრძნების განცდა გაუჩინა რევოლუციონერებს. არადა არავითარ მსგავსს არ ექნებოდა ადგილი 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალთა 18-პროცენტიანი წარმატებისათვის ჯეროვანი ყურადღება რომ გამოეჩინათ მმართველ „მოქალაქეთა კავშირს“ და „აღორძინებას“. ამ პარტიების ხელმძღვანელებმა უარი თქვეს გარკვეულ დათმობაზე წასულიყვნენ ნაცთა წინაშე. მაშინ ნაცებსა და ბურჯანაძე-ჟვანიას შორი სერიოზული დისტანცია იყო. საკუთარ უძლეველობაში დარწმუნებულმა პარტიებმა საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგეს, რითაც მძიმე ვითარებაში ჩააყენეს ქვეყანა და საკუთარი თავი.

რევოლუციურმა ეიფორიამ უმალ ჩაიარა, დაიწყო მონოტონური ყოველდღიურობა, რომლის დროს კვლავ თავი იჩინა ძველმა პრობლემებმა, მას ახალიც დაემატა, რასაც ხელი შეუწყო ახალი ხელისუფლების არაპროფესიონალიზმმა, ასაკიდან გამომდინარე ქარაფშუტობამ, ძველი, გამოცდილი კადრების „ჩარეცხვამ“ და სხვა. მაინც რა არის ნაცთა 8-წლიანი პერიოდი, რა მოუტანა მან ქვეყანას, საზოგადოებას? კითხვები მოითხოვს დასაბუთებული პასუხის გაცემას, რასაც ნაცთა ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ არაერთხელ ექნება ადგილი. ამჯერად კი მოკლედ შევეცდები გავამახვილო იმ ზოგიერთ მომენტზე ყურადღება, რამაც ნაცთა რვაწლედი აუტანელი გახადა.

ზოგი აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა ნეოლიბერალიზმზე დაფუძნებული მოძრაობაა, თავისი გადახრებით და მანკიერებით. სინამდვილეში ნაციონალურმა მოძრაობამ ფეხქვეშ გათელა დასავლური ლიბერალური ფასეულობები. სურვილი იმისა, რომ სააკაშვილი და მისი ნაცები მჭიდროდ დააკავშირონ, რაღაც იდეალებთან, რაღაც ფილოსოფიასთან, თუნდაც ლიბერალურთან ამაო მცდელობაა, **ვინაიდან მათ არავითარი კავშირი არ აქვთ ლიბერალიზმთან, ან რაიმე მოძღვრებასთან, ფილოსოფიასთან, ფასეულობასთან, ინტელექტთან, წიგნთან. პრიმიტივიზმზე დაფუძნებული ნაცთა მმართველობის ხაზი გადის ვერტიკალურ, ცენტრალურ, ერთი პირის მმართველობაზე და ამ მმართველობის ადმინისტრაციულ-სადამსჯელო ორგანოებით გამაგრებაზე, საზოგადოებაში შიშის ჩანერგვაზე, ხელისუფლებასთან შეზრდილი ბიზნესის შექმნაზე, დასავლეთის თვალში საკუთარი თავის უმანკო, დემოკრატიულ კრავად წარმოჩინებაზე, არარსებული წარმატებების წარმატებულად მოჩვენებაზე. სააკაშვილმა და ნაცების მიერ ჩამოყალიბებულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ — ნაცური მედიის სახით, ძირფესვიანად განამტკიცა ნაცთა მმართველობა. მაგრამ არავითარ მსგავს მმართველობას ადგილი არ ექნებოდა, რომ არა დასავლური შორსმიმავალი გეგმები, ჯერაც არსებული დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირება, დიდ ქვეყნებს შორის შენიღბული, ყოველდღიური კულუარული ომი პირველობისათვის, და ამ ომში სააკაშვილისა და მისი ხელისულების გამოყენება.**

რევოლუცია იქ ხდება სადაც სისუსტეა. სწორედ ასეთად შეფასდა აშშ-ის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთი ქვეყანა, მათ შორის საქართველო — უკრაინა. და ამუშავდა აშშ-ის მიერ შემუშავებული დემოკრატიის ექსპორტის გეგმა, ისეთი, რომელიც მანამდე მოქმედებდა იუგოსლავიაში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. და რაც ამჯერად მოქმედებს არაბულ სამყაროში. აშშ ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც აქვს მატერიალური, ტექნიკური, ინტელექტუალური, ფინანსური რესურსი, ნოუ-ჰაუ მასშტაბური ოპერაციის განსახორციელებლად. სწორი იყო სააკაშვილი, როდესაც ამბობდა, რომ არაბული რევოლუციები დასაბამს, ფერად-ყვავილოვანი რევოლუციებიდან იღებს, ვინაიდან ამ რევოლუციების სულისჩამდგმელია აშშ — ირიბი თუ პირდაპირი ჩარევით, მისი თუ მასზე დამოკიდებული ბიზნესის ფულით. ამას წინათ ლონდონში მცხოვრებმა ოლიგარქმა ბერეზოვსკიმ ყოველგვარი მორიდების გარეშე განაცხადა თუ როგორ ეხმარებოდა უკრაინის ნარინჯისფერ რევოლუციას, როგორ გადასცა 50 მილიონი დოლარი ამ საქმის განხორციელებისთვის უკრაინელ ბიზნესმენს ჟვანიას. უნდა ვიმედოვნოთ, რომ დადგება დრო და გამოაშკარავდება იმ დონორთა ვინაობა, ვინც დააფინანსა „ვარდების რევოლუცია“, ამერიკელთა გარდა, ვინ იდგა „ვარდების რევოლუციის“ სათავეში. თვით აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა პირდაპირ განაცხადა იმ ფართომასშტაბიანი მხარდაჭერის და დახმარების შესახებ, რასაც აშშ წევდა სააკაშვილის და რევოლუციის მიმართ. პოსტსაბჭოთა სივრცის რევოლუციებში ჩადებული ენერგია და ფინანსები ყოველთვის არ გამოდგა ეფექტური. მაგალითად ბერეზოვსკის მილიონებთან ერთად „ნარინჯისფერი“ რევოლუციაც ისტორიას ჩაბარდა. მისი ერთ-ერთი გმირი კორუფციისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის შვიდწლიან პატიმრობას იხდის. არ გამართლდა არც ბელორუსული არც ყირგიზული ვარიანტები, მაგრამ გამართლდა ქართული. ამიტომაცაა სააკაშვილის მიმართ ვაშინგტონის რევერანსული დამოკიდებულება

# საქართველოს სხვა შეძახილი სჭირდება



თვალში საცემი. შეელევა სააკაშვილსა და მის პარტიას აშშ და თუ შეელია ვისით ჩაანაცვლებს მას? ის, რომ აშშ-მა სარეზერვოდ, რომ იტყვიან შავი დღისთვის ალასანია, თარგამაძე ან სხვები გამოჩეკა — გასაკვირი არ არის. არც ის არის გასაკვირი, რომ ძველ გამოჩეკილებს ახალიც დაუმატა — „ქართული ოცნების“ სახით, მაგრამ საინტერესოა, რას მოუხერხებს სააკაშვილს, გაწირავს თუ არა მას? იქნებ სულაც არ აპირებს გაწირვას? იქნებ სხვა გეგმას ქსოვს, რაც ამას წინათ გაგვანდეს „საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის“ სახით, რომლის მიხედვით „ნაცთა“, „ოცნების“ და ქრისტიან-დემოკრატთა თავყრილობას ვიხილავთ ახალ პარლამენტში? **ამ შეკითხვებს პასუხი მალე გაეცემა, მაგრამ იმას, რასაც პასუხი უკვე გაეცა ნაციონალური მმართველობის რვაწლიანი პერიოდია — საამური ფასადით, და მის მიღმა დამყაყებული არსებობით. აშშ-მა მოახერხა ის, რასაც წლების, საუკუნეების განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით ვერც ერთი მომხდური ვერ ახერხებდა. ამერიკამ შეძლო — ჭრელ-ჭრელი სათამაშოებით, სალეჭი რეზინით, სააკაშვილ-ნაცებისთვის მხარის დაჭერით. იშვიათად მოიძებნება ხელისუფლება, რომელსაც ესოდენ დიდი ზარალი მიეყენებინოს საკუთარი ქვეყნისთვის, როგორც ნაცებმა მიაყენეს. მათ ზედმიწევნით კარგად შეასრულეს სტრატეგიული პარტნიორის დავალება და რატომ უნდა გაიწირონ ისინი? ასეთებს, პირიქით ხელს უწყობენ, ეხმარებიან.**

**„ვარდების რევოლუცია“ რაღაცით ჩამოჰგავს ჩინეთის კულტურულ რევოლუციას, მხოლოდ „რაღაცით“. იმ რევოლუციას იდეოლოგიური საფუძველი ჰქონდა — მატერიალურ სიხარბისკენ გადახრის საწინააღმდეგო ბრძოლა. ამას, საფუძვლად საკუთარი ქვეყნის და ხალხის ძარცვა უდევს — საკუთარი ჯიბის გასქელება. ჯამში, ქვეყნისათვის ორივე დამანგრეველი აღმოჩნდა. მილიარდიანმა ჩინეთმა მძიმედ, მაგრამ მაინც, გადაიტანა კულტურული რევოლუცია და მისი შედეგები, მაგრამ საკითხავია გადაიტანს თუ არა სამმილიონიანი საქართველო „ვარდების რევოლუციის“ შედეგებს?**

დასავლურმა ორიენტაციამ, ნატო-ნატოს ძახილმა ნეგატიური დაღი დაასვა ქვეყანას. დაიკარგა ტერიტორიები, გალატაკდა ხალხი, დაეცა ქვეყნის განათლების დონე, უკიდურესად გაუარესდა დემოგრაფიული ვითარება, გაცამტვერდა ეროვნული თვითშეგნება და ა. შ. და ეს ხდება ქვეყანაში, რომელიც მრავალი პარამეტრით მოწინავე იყო საბჭოთა კავშირში. **ვითარების შესაცვლელად მთელი რიგი ღონისძიებებია გასატარებელი, მათ შორის უპირველესია საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლა, ცალხმრივი ორიენტაციის, მრავალმხრივით ჩანაცვლება და რაც მთავარია, სხვისი მოიმედობის ნაცვლად საკუთარ თავზე დაყრდნობა. ეს არ ნიშნას აშშ-თან ურთიერთობის გაუარესებას, მაგრამ ეს ნიშნავს დისტანცირებას, რაც მთავარია ამერიკელთა მიერ ქვეყნისათვის დაკისრებული დამამცირებელი როლის შესრულებაზე უარის თქმას. საქართველოს ყოფა არ უნდა ეფუძნებოდეს მეზობელი რუსეთის პერმანენტულ გაღიზიანებას, მის წინააღმდეგ გამოხდომებს, ფერადი რევოლუციებისათვის ხელის შეწყობას. ქართულმა პოლიტიკამ უნდა შეიგნოს ხალხური სიბრძნე — რომ კარის მეზობელი ახლო ნათესავს სჯობს. ქართულმა პოლიტიკამ უნდა შეიგნოს რომ ე. წ. „დემოკრატიული“ რევოლუციებით არ მოიპოვება მსოფლიო პოპულარობა, როგორც ობამამ დამოძღვრა სააკაშვილი, არამედ მუყაითი შრომით, მეზობლის პატივისცემით, პროფესიონალიზმით, საკუთარი ხალხის კეთილდღეობის ამაღლებით. ქვეყანას გულიდან წამოსული პატრიოტული შეძახილი ესაჭიროება — ნაცების დროს ესოდენ შელახული, გაქილიკებული. ქვეყანას არ სჭირდება ისეთივე ორიენტირების დასახვა, რასაც, ქვეყნის სავალალოდ, ნაცებიც კარგად ახერხებდნენ. და რასაც ძველი-ახალი ძალა გვთავაზობს. ქვეყანას სხვა რამ ესაჭიროება — საკუთარი ხელით, საკუთარი თავის მოვლა.**

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია

## თბილისში წლის ბოლოსთვის უსახლკაროებისთვის კიდევ ორი სახლი აშენდება

**თბილისში წლის ბოლოსთვის უსახლკაროებისთვის კიდევ ორი სამსართულიანი სახლი აშენდება. ამის შესახებ ჟურნალისტებს საკრებულოში თბილისის მერიის სოციალური სამსახურების განყოფილების უფროსმა გია მამრიკიშვილმა განუცხადა.**

**მისი თქმით, ახალი სოციალური საცხოვრისების მშენებლობა დიდ დიღომში დაიწყება და მასში წლის ბოლოსთვის თბილისში მცხოვრები 17 და 7 დევნილი ოჯახი შესახლდება. საცხოვრებლებს თბილისის მერია შვეიცარიის განვითარების სააგენტოსთან ერთად, თანადაფინანსებით აშენებს. ამ მიზნით დაახლოებით მილიონი ლარი დაიხარჯება. დედაქალაქში სულ 2009 წლიდან დღემდე თბილისის მერიისა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით, სოციალურ საცხოვრისებში 52 უსახლკარო ოჯახი შესახლდა. მხოლოდ თბილისის მერიაში კი საცხოვრისების მოთხოვნასთან დაკავშირებით 6 ათასამდე განაცხადია შესული.**

**უსახლკაროებისთვის სოციალური საცხოვრისების მშენებლობაზე საკრებულოში „ქრისტიან-დემოკრატებმა“ სხდომა გამართეს, რომელსაც თბილისის მერიის სოციალური სამსახურების განყოფილების უფროსი გია მამრიკიშვილი ესწრებოდა. სხდომაზე ასევე იმყოფებოდნენ უსახლკარო ოჯახების წარმომადგენლებიც. უსახლკაროებმა იმ მიზეზებზე ისაუბრეს, თუ რატომ ვერ ხდება დღემდე მათი განაცხადების დაკმაყოფილება.**

**„ქრისტიან-დემოკრატ“ ზაზა გაბუნიას განცხადებით, გასულ წელს „ქრისტიან-დემოკრატებმა“ მიაღწიეს იმას, რომ თბილისში ორი სოციალური საცხოვრისი აშენებულიყო. მისი თქმით, ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი აქცია.**

**გაბუნიას თქმით, დედაქალაქში უსახლკაროთა რიცხვი ძალიან დიდია, რასაც მერიაში საცხოვრისის მოთხოვნის თაობაზე შეტანილი ათასობით განაცხადი მოწმობს.**

## უმუშევართა კავშირმა მშენებლობაზე უცხოელების დასაქმება გააპროტესტა

**„უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის“ ხელმძღვანელ თამარ იოვაშვილისა და ალექსანდრე შალამბერიძის განცხადებით, იუსტიციის სახლის მშენებლობაზე საქართველოს მოქალაქეების ნაცვლად, 150 ჩინელი მუშაობს.**

**თამარ იოვაშვილმა და ალექსანდრე შალამბერიძემ თანამოაზრეებთან ერთად, ამ ფაქტთან დაკავშირებით დედაენის ძეგლთან საპროტესტო აქცია გამართეს.**

**— პრეზიდენტი იტყუება, როდესაც აცხადებს, რომ მშენებლობებზე საქართველოს მოქალაქეები საქმდებიან. ისტორიული კორტების ადგილზე იუსტიციის სახლი შენდება, სადაც 150 ჩინელია დასაქმებული, ქართველი კი ალბათ მხოლოდ 1-2 იქნება, — განაცხადა ალექსანდრე შალამბერიძემ.**




**საპროტესტო აქციის მსვლელობას მშენებლობაზე შესვენება დაემთხვა და სამშენებლო ტერიტორიიდან გამოსულმა ჩინელმა მშენებლებმა რესტორან „მერცხალის“ ნახევარდ დანგრეულ შენობაში გადაინაცვლეს.**

**შენობა ამორტიზებულია და მისი დემონტაჟი მიმდინარეობს, თუმცა ჩინელი მუშებისთვის, რომელთა შორის ქალებიც არიან, საკვები გაუქმებულ რესტორანში მზადდება.**

ინტერპრესი

**ვარაუდი**

# ირანის კონფლიქტი კავკასიასაც გადმოსწვდება?

**ფრთხილი ვარაუდები იმაზე, რომ ირანთან დასავლეთის შესაძლო კონფლიქტში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიც აღმოჩნდებიან ჩაბმული, საშიშ პროგნოზებში გადაიზარდა მას შემდეგ, რაც ბაქოსა და თბილისში ისრაელის დიპლომატებზე ტერორისტული თავდასხმა აღიკვეთა.**

არშემდგარი ტერორისტული აქტები ბაქოსა და თბილისში, ისევე როგორც ისრაელ დიპლომატებზე განხორციელებული თავდასხმები ინდოეთსა და ტაილანდში, დროში ემთხვევა პერიოდს, როდესაც უკიდურესად გამწვავდა საერთაშორისო ვითარება ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო და სულ უფრო ხშირად გაისმის საუბარი ირანის პრობლემის სამხედრო გზით გადაჭრის შესახებ. ასეთი შეიარაღებული კონფლიქტის თაობაზე ვარაუდები დიდ შეშფოთებას იწვევს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. უსაფრთხოების საკითხების ქართველი ექსპერტი ბესიკ ალადაშვილი ფიქრობს, რომ, ირანის წინააღმდეგ სამხედრო სცენარის ამოქმედების შემთხვევაში, კონფლიქტში შესაძლოა საქართველოც აღმოჩნდეს ჩათრეული.

**„მე ამას არ გამოვრიცხავ იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატები და ისრაელი ღია სამხედრო ოპერაციას დაიწყებენ ირანის წინააღმდეგ. მაშინ არ არის გამორიცხული და ამას აცხადებს კიდევაც ირანის ხელისუფლება, მთელ მხოფლიოს ადეკვატური პასუხი გასცეს. ასე რომ, თუ პროცესები დაიძაბა და, ღმერთმა არ ქნას, საქმე აშკარა დაპირისპირებამდე მივიდა, არ არის გამორიცხული საქართველოც გახდეს მათი დაპირისპირების ასპარეზი და აქაც გადმოინაცვლოს გარკვეულმა ტერაქტებმა“,** — ამბობს ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი ბესიკ ალადაშვილი.

13 თებერვალს ისრაელის საელჩოსთან თბილისში ნაღმის აფეთქება აღიკვეთა, ინდოეთში კი — დელიში, იმავე დღეს აფეთქების შედეგად ოთხი ადამიანი დაიჭრა. ჩაფიქრებული ტერაქტი იანვრის ბოლოს აღიკვეთა აზერბაიჯანში, სადაც სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა დააკავეს ტერაქტის მცდელობაში ეჭვმიტანილი ორი პირი, რომლებიც გეგმავდნენ ბაქოში ისრაელის ელჩის, ადგილობრივი რაბინისა და სხვა ცნობილი ისრაელი მოღვაწეების დახოცვას. ყველა შემთხვევაში, ისრაელმა ირანის სპეცსამსახურები დაადანაშაულა. თეირანმა კი ასეთ ბრალდებებს „უსაფუძვლო“ უწოდა და იქით დასდო ბრალი ბირთვული ატომის დარგში მომუშავე ცნობილი ირანელი მეცნიერების დახოცვაში.

უეინ მერი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მოხელე და ამჟამად ამერიკის საერთაშორისო პოლიტიკის საბჭოს მეცნიერ-თანამშრომე-




ლი, არ გამორიცხავს, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებზე გარკვეულ მოქმედებებს, ირანის გარდა, ისრაელის სპეცსამსახურებიც აწარმოებდნენ:

**„ის, რასაც ჩვენ აქ ვხედავთ, მაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ირანისა და ისრაელის სპეცსამსახურებს შორის დაბალი დონის ასიმეტრიულ კონფლიქტთან, რომლის დროსაც სხვა ქვეყნის ტერიტორიებსა და მათ სუვერენიტეტს სათანადოდ არ ეწევა ანგარიში.“**

ანალიტიკოსების თქმით, აზერბაიჯანსა და ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობა რამდენიმე წლის წინათ უკიდურესად დაიძაბა იმის გამო, რომ მუსლიმებით დასახლებულ აზერბაიჯანს თბილი ურთიერთობა აქვს ისრაელთან და აწვდის მას ნავთობს, თავად ბაქო კი ისრაელისგან საბრძოლო აღჭურვილობას ყიდულობს. უეინ მერის თქმით, თეირანი დარწმუნებულია, რომ აზერბაიჯანი ისრაელის დაზვერვას, „მოსადს“, თავის ტერიტორიაზე თავისუფალი მოქმედების საშუალებას აძლევს:

**„ირანი მიიჩნევს, რომ ისრაელი ელექტრონული თვალთვალის, აგენტების შეგზავნისა და სხვა სადაზვერვო ოპერაციების პლაცდარმად იყენებს აზერბაიჯანის ტერიტორიას. ირანში ვარაუდობენ, რომ მის ჩრდილოეთ საზღვრის პერიმეტრზე აზერბაიჯანის ტერიტორია არის ადგილი, რომელსაც ისრაელი იყენებს ისლამისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრული მოქმედებების გასაფართოებლად.“**

თვის დასაწყისში ირანის ხელისუფლებამ აზერბაიჯანის ელჩი დაიბარა და ღიად დაადანაშაულა ბაქო „მოსადის“ მხარდაჭერაში, კერძოდ კი, ბირთვული მეცნიერების სფეროში მოღვაწე სწავლულების მკვლელობაში. აზერბაიჯანი უარყოფს ამ ბრალდებებს, თუმცა დასავლეთში მოღვაწე ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ დასავლეთსა და ირანს შორის სამხედრო კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში, რეალური საფრთხე, პირველ ყოვლისა, აზერბაიჯანს დაემუქრება და საჭირო გახდება ზომები მიღება აზერბაიჯანის დასაცავად.

**„ვინაიდან აზერბაიჯანი საკუთარ თავს წარმოიდგენს ამ შესაძლო კონფლიქტის მონაწილედ, ვფიქრობ, როდესაც ეს საკითხი მომწიფდება, ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს ამაზე მსჯელობა. თუკი საქმე საქმეზე მიდგება, აზერბაიჯანი არ იქნება ერთადერთი ქვეყანა, რომელიც უკიდურესად მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდება და რომლის გარკვეული მხარდაჭერა მოგვიწევს იმისათვის, რომ ისინი უსაფრთხოებაში დავარწმუნოთ“,** ამბობს როს ვილსონი, აზერბაიჯანსა და თურქეთში აშშ-ის ყოფილი ელჩი.

საქართველოს ხელისუფლება ასეთ საფრთხეს ჯერჯერობით მშვიდად უყურებს. აშშ-ისა და ირანის შესაძლო სამხედრო კონფლიქტისა და მასში საქართველოს მონაწილეობის თაობაზე წარმოქმნილ შეკითხვებს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ 6 თებერვალს ჰიპოთეტური უწოდა.

**რადიო „თავისუფლება“**

**გამოფენა**

# დღე დაბადებისა, დღე გახსენებისა

**კიდევ ერთხელ შეკრიბა მეგობრები, ხელოვნების ტრფიალნი მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში ქართველ მხატვართა 80-იანელთა თაობის უდროოდ გარდაცვლილი მხატვრის თემურ ცხოვრებაშვილის ვერნისაჟმა.**

„კიდევ ერთხელ“-მეთქი, ზემოთ იმიტომ ვთქვი, რომ ამ ნიჭიერი შემოქმედის დაბადების დღეს, ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც, მისი ძმა, ბატონი ბუძა ცხოვრებაშვილი და მეგობარი მხატვრები იმით მიაგებენ პატივს თემურ ცხოვრებაშვილის სახელს, მის ხსოვნას, რომ მის ნამუშევართა გამოფენას აწყობენ.

მიუხედავად იმისა, რომ მხატვრის ნამუშევართა გამოფენა წინა წლების გამოფენებისგან განსხვავებით რამდენადმე მორიდებული იყო, ვინაიდან მიზეზთა გამო მისი ნამუშევრების კერძო კოლექციებიდან თავმოყრა ვერ მოხერხდა, ვერნისაჟმა ასევე ტელეჟურნალისტების, კერძოდ, „რუსთავი-2“-სა და საპატრიარქოს ტელევიზიის წარმომადგენელთა ყურადღება მიიპყრო, რომლებმაც გამოფენას გულთბილი სიუჟეტები მიუძღვნეს.



**ოთარ ტურაბელიძე**

**მიწისქვეშა საუკუნეები**

# ყამგამძლე მტვრის თავგადასავალი

## სურნელოვანი ღვინის დაყენების ტექნოლოგიას ჩვენი წინაპარი თურმე ჯერ კიდევ 8 ათასი წლის წინათ ფლობდა

**სხვა ბევრ სიკეთესთან ერთად ღვინოც რომ ქართველებმა მისცეს კაცობრიობას, ამაზე დიდი ხანია აღარ დავობენ. მიუხედავად ამისა, რაც უფრო მეტ დასაბუთებას მოვიპოვებთ ამ განხრით, მით უკეთესი.**



ამას წინათ „რუსთავი-2“-მა გადაცემა „პოსკრიპტუმში“ გვაუწყა, რომ **ქართველმა არქეოლოგებმა 8 ათასი წლის წინათ დამზადებული თიხის ჭურჭელი (ქვევრი) მოიპოვეს, რომლის კედლებზე ქიმიკოსებმა ვაზის ყვავილის მტვერი აღმოაჩინეს, რაც იმის დასტურია, რომ ამ ჭურჭელში ღვინო ესხა. მათი განმარტებით, რახან ვაზი ყვავის, არაა გასაკვირი, რომ მისი მტვერი მტევანზე დარჩა და ყურძნის დაწურვისას ის წვენს შეერია.**

მეღვინეობის არმცოდნე ხალხის მიერ ამ ფაქტის ასეთმა პრიმიტიულმა ახსნამ ყურადღების გარეთ დატოვა მეღვინეობისათვის უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩენა, რაც უნდა მოჰყოლოდა 8 ათასი წლის წინანდელ ღვინოში ყურძნის მტვერის პოვნას.

მე ვფიქრობ, რომ **ყვავილის**



**მტვრის მოხვედრა ღვინოში, თუ ის სპეციალურად არ შეიტანე, შეუძლებელია, რადგან ვაზი გაზაფხულზე ყვავის, ხოლო მწიფე ნაყოფი 4 თვის შემდეგ იკრიფება. თუ გავითვალისწინებთ ზაფხულ-შემოდგომის წვიმებისა და ქარის ზემოქმედებას, შემოდგომამდე ყურძნის მტევანზე ყვავილის მტვრის იმ რაოდენობით გადარჩენა, 8 ათასი წლის შემდეგ რომ იჩენს თავს, შეუძლებელია. ამ ფაქტის ახსნას უფრო დამაჯერებელი დასაბუთება უნდა, რასაც მეღვინე სპეციალისტები დაებდნენ, თუ მათ ამის შესახებ ჰკითხავდნენ.**

ღვინის ფერის გემოს და სურნელის გასაუმჯობესებლად მეღვინეები უხსოვარი დროიდან მრავალ ხერხს მიმართავდნენ. სწორედ ამ მიზნით მოიფიქრეს ღვინის მუხის კასრებში დავარგება. **ჩვენ, ქართველებს, ქართული ტრადიციული მეღვინეობის ტექნოლოგიაში ღვინის შენელების მრავალი ხერხი და საშუალება მოგვეპოვება.** აი რას წერს ლ.ჯორჯაძე თავის წიგნში „მევენახეობა და ღვინის დაყენება“ (1876 წ. გვ.200ძ: **„ვაზის ყვავილს ნაზი სუნი აქვს და ღვინოს კარგ სუნს და ფერს აძლევს“.** ხოლო მისი გამოყენებისას ასეთ რჩევას გვაძლევს: **„ვაზის ყვავილობაში უნდა დაკრიფოთ თვით ვაზის ყვავილი, თუ ის იშოვებოდეს, მაგრამ რადგან ვაზის წახდენა არ შეიძლება, ამისთვის გარეული კრიკინის ყვავილი უნდა დაკრიფოთ, ხოლო ყვავილი სჯობია იმ კრიკინისა, რომელიც აყვავდება ხოლმე და მარცვალს კი არ იკეთებს. ეს ყვავილი უნდა გაახმო ჩრდილში, შემდეგ ჩაყარო მინის ჭურჭელში და კარგად მოუკრა პირი, ასე რომ ჰაერი არ ჩასდიოდეს და რთვლამდე ყვავილს სუნი და ძალა არ დაეკარგოს. რთვლის დროს მაჭრის დაყენებისას, თითოეულ საპალნე წვენს მოუნდება ეს ყვავილი თითო გირვანქა, ხოლო უნდა ქნათ ასე: ყვავილი ჩაყარეთ წმინდა თეთრ ტილოს პარკში, მოუკარით პირი და ძაფით ჩაჰკიდეთ ყურძნის წვენში და იყოს ქვევრში, ვიდრე ღვინის გადაღებამდე. როდესაც მაჭარი ჩაიწმინდება, მაშინ ამოიღეთ. ეს კრიკინის ყვავილი ძალიან კარგია მეტადრე თეთრი ღვინისათვის, რომელსაც კარგ ფერსა და სუნს აძლევს“.**

ვფიქრობ, ამაზე უკეთესი დასაბუთებას იმისას, თუ საიდან მოხვდა ღვინის უძველესი ჭურჭლის კედელზე ყურძნის მტვერი, ვერც ინატრებ.

რადგან ვაზის ყვავილის მტვრის ღვინოში მოხვედრა გაშიფრულია, ახლა ვნახოთ, თუ სხვა რა მნიშვნელოვან აღმოჩენამდე მივყავართ ამ ფაქტს. ეს უტყუარი დასაბუთებაა იმისა, რომ **ჩვენმა წინაპარებმა 8 ათასი წლის წინათ არა მხოლოდ ღვინის დაყენება იცოდნენ, ამასთან იცოდნენ კარგი ფერისა და სურნელის მქონე ღვინის დამზადების ტექნოლოგიაც, რისთვისაც ყურძნის გამხმარ ყვავილს იყენებდნენ. უდავოა, ამ ტექნოლოგიის ავტორებიც თვითონ იყვნენ.**

ზემოთ ნათქვამიდან კიდევ ასეთი დასკვნების გამოტანა შეიძლება: **ხალხს, რომელიც 8 ათასი წლის წინათ კარგი ფერისა და სურნელის მქონე ღვინის დაყენების ტექნოლოგიას ფლობდა, თვით ეს ღვინო რამდენიმე ათასი წლის წინათ უნდა შეექმნა. ეს კი ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ ღვინო ჩვენმა წინაპარმა მისცა კაცობრიობას, და ეს ასი საუკუნის წინათ უნდა მომხდარიყო.**

**ჟორა გაბრიჭიძე,**

ტელეფონი ავტორთან დასაკავშირებლად 551-333-155

◉ კონფლიქტის ზონა



# დვანის ნაცვლად ისევ ერგნეთში

**ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები დვანის ნაცვლად ისევ ერგნეთში გაიმართება. დაახლოებით ერთი წლის წინათ ოსურმა მხარემ სოფლის სკოლაში გახსნილი ნატოს საინფორმაციო კუთხის გამო ერგნეთის შეხვედრებზე უარი თქვა და სოფელ დვანში ამ შეხვედრების გადატანაზე დათანხმდა.** დვანთან მისასვლელი გზები კი მოუწესრიგებელია და დელეგაციის წევრები ხშირად იგვიანებდნენ ხოლმე. დღეს ოსური დელეგაციის ხელმძღვანელი მერაბ ჩიგოევი მიიჩნევს, რომ თავის დროზე ერგნეთის ნატოს ზონად გამოცხადება გადაჭარბებული იყო და ახლა ეს საკითხი ამოწურულია.

ერგნეთის შეხვედრაზე, რომელიც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ორგანიზებით იმართება, მხარეებმა სოფლის მეურნეობის საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით ოპერატიული ჯგუფი შექმნეს, რომელიც ეგრეთ წოდებული საზღვრის გასწვრივ მიწის ნაკვეთებში ფერმერთა უსაფრთხოებაზე იზრუნებს. წინათ ხშირი იყო შემთხვევები, როცა ნაკვეთებში მომუშავე ადამიანებს შეიარაღებული ჯგუფები სასოფლო ტექნიკას და მოსავალს ართმევდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელის შოთა უტიაშვილის განცხადებით, მხარეებმა ამ საკითხზე შეთანხმება უპრობლემოდ მოახერხეს.

შეხვედრის ბოლოს დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის მოადგილე მერაბ ჩიგოევი უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ ქართულმა მხარემ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტერაქტებისთვის სამუდამო პატიმრობამისჯილი ვალიევის, ზასეევისა და კაზისოვის განაჩენის გადახედვაზე უარი თქვა.

ცხინვალის ციხეში მყოფი 4 ქართველის გათავისუფლებაზეც ჯერჯერობით შეთანხმება მიღწეული არ არის. შოთა უტიაშვილის თქმით, მოლაპარაკება მას შემდეგ გაგრძელდება, რაც დე ფაქტო რესპუბლიკაში ახალი მარიონეტული მთავრობა ჩამოყალიბდება.

ოსურმა მხარემ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც გააკრიტიკა. ჩიგოევის აზრით, დარღვევების შემცირების მიუხედავად, საზღვართან ინციდენტები მაინც ხდება და დამკვირვებლებმა საზღვრისპირა სოფლებში მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა ერგნეთში მარტის ბოლოს გაიმართება.

**გოგა აფციაური**
**რადიო „თავისუფლება“**

◉ ინფორმაცია

## სოფელ სონდას მოსახლეობა თოვლისგან გზის გაწმენდას ითხოვს

**მცხეთა-მთიანეთის** რეგიონში ქართლის მუნიციპალიტეტის სოფელ სონდას მცხოვრებლები თოვლისგან გზის გაწმენდას ითხოვენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ მაღალმთიან სოფელში მცხოვრები შალვა ხუციანიძის დამ მარიამ ხუციანიძემ განუცხადა, სონდაში სულ 5 ოჯახი ცხოვრობს და გარესამყაროს მოწყვეტილები არიან.

მარიამ ხუციანიძის განცხადებით, სოფელში თოვლის საფარი სამ მეტრს აღწევს და არ დნება.

— ჩემი ძმა შალვა ხუციანიძე ავადმყოფია, ვერც ექიმი ახერხებს სოფელში მისვლას და ვერც წამლების საყიდლად გამოდიან, ვინაიდან 3-მეტრიანი თოვლი გაუკვალავია. პროდუქტების მარაგიც ამოეწურათ და მძიმე მდგომარეობაში არიან. ქართლის გამგებელს დავუკავშირდით, მაგრამ არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. ხელისუფლებას დახმარებას ვთხოვთ, რომ გზები გაკვალონ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან იქ მცხოვრებლები, — განაცხადა მარიამ ხუციანიძემ.

## დამწვრობის ცენტრში მოყინვის შედეგად ოპერაციული ჩარევა ორ პაციენტს დაჭირდა

**დამწვრობის** ცენტრში მოყინვის შედეგად ოპერაციული ჩარევა კიდევ ორ პაციენტს დაჭირდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ რეფერალური ჰოსპიტლის, ბესიკ იაშვილის სახელობის დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელმა გუგა ქაშიბაძემ აცნობა, ცენტრში ოპერაცია 75 წლის ქალბატონს და 60 წლის მამაკაცს დაჭირდა, რომელის დროსაც მათ ფეხის თითები დაკარგეს.

ქაშიბაძემ დასძინა, რომ 75 წლის ქალბატონი მარტოხელაა, მოყინვა ბინაში მიიღო და მას უმწეოთა სადაზღვევო პოლისი აქვს. 60 წლის მამაკაცი კი დაზღვეული არ იყო და ხარჯებს თბილისის მერია დაფარავს.

ცენტრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ოპერაციული ჩარევა კიდევ სამ პაციენტს დაჭირდება. ამჟამად ცენტრში სულ ექვსი პაციენტი მკურნალობს. მათგან ყველაზე ასაკოვანი 78 წლის ქალბატონია.

ქაშიბაძის თქმით, მოყინვის დიაგნოზით დამწვრობის ცენტრში ექვსი წლის პაციენტიც მკურნალობდა და ის უკვე გაეწერა. ამბულატორიულად კი მოყინვის პრობლემებით ცენტრში მიმართვიანობა შეწყდა. ახალი პაციენტები აღარ მოთავსებულა.

ინტერპრესი

◉ რეცენზია

# რაც საქმეს უთუოდ სასიკეთოდ წაადგება

## პრობლემის გადაჭრის საყურადღებო ღონისძიებათა სისტემა




**„გლობალიზაციის შედეგები ნავთობის საერთაშორისო ტრანზიტისა და სამხედრო მეცნიერების განვითარების სისტემური სინთეზით“ — ასეა დასათაურებული გენერალ-მაიორ გივი იასეშვილის წიგნის — „საქართველოს სამხედრო მეცნიერების აკადემიის“ — მეცხრე თავი, რომელზეც დღეს გვინდა მკითხველის ყურადღების გამახვილება.**

გივი იასეშვილი, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება, თავის დროზე დაკავშირებული იყო სამხედრო, ტექნიკური და ეკონომიკური სფეროს პრაქტიკულ სექტორებთან, სადაც ყოველთვის მეცნიერული და ნოვატორული მიდგომებით გამოირჩეოდა. მისი ამ საინტერესო წიგნის განსახილველი თავის თვით სათაურიც კი ერთობ საინტერესოა, რადგან ეხება მსოფლიოს და საქართველოს ეკონომიკის ძალიან საჭირბოროტო და აქტუალურ საკითხებს: გლობალიზაციას, ნავთობპროდუქტებს და სამხედრო საქმეს. წარმოდგენილია სამეცნიერო მოხსენების ფორმით დამუშავებული სადოქტორო დისერტაცია — „ერთიანი სატრანსპორტო სისტემის მართვის ძირითადი ამოცანები საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის სატრანზიტო დერეფნის პირობებში — ნავთობის ტრანზიტის მაგალითზე“.

ეკონომიკურმა გლობალიზაციამ მოიცვა არა მარტო ცივილიზებული სამყარო, არამედ განვითარებადი სახელმწიფოებიც. ანტიგლობალისტების მტკიცე წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი სწრაფად ვრცელდება მსოფლიოში და უარყოფითთან ერთად (კულტურათა ასიმილაცია, მცირე ერების ტრადიციათა შესუსტება, ენების დისკრიმინაცია და ა. შ.) უთუოდ მასშტაბური ეკონომიკური ეფექტის მომტანიც არის. უამისოდ გლობალიზაცია ასეთი მაღალი ტემპით ვერ გავრცელდებოდა. ამავე დროს მისი დამსახურებაა აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა (ფილიპინები, ახალი ზელანდია, სინგაპური და სხვ.) ეკონომიკის არნახული ტემპით ზრდა. გლობალიზაციას ვერც საქართველო აუვლის გვერდს და არც არის ამის საჭიროება. მისი წყალობაა, რომ ჩვენი ქვეყანა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მსოფლიოსთვის — განსაკუთრებით თავისი სატრანზიტო ფუნქციის გამო. ამიტომ სწორად მიგვაჩნია, რომ ავტორმა ნავთობის ტრანსპორტირების სისტემა გლობალურ ეკონომიკურ პრობლემებთან დააკავშირა.

საქართველო საზღვაო ქვეყანაა — მისი საზღვრების არცთუ მცირე მონაკვეთი — 310 კილომეტრი ზღვაზე გადის, რაც ძალიან დიდი გეოგრაფიული უპირატესობაა. ამ უპირატესობას კიდევ უფრო ზრდის ის, რომ საქართველოზე გადის უმოკლესი და, შესაბამისად, ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი სატრანსპორტო გზა არა მარტო სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის, არამედ შუა აზიის სახელმწიფოებისთვისაც. ეს ქვეყნები კი გამოირჩევიან წიაღისეულის, უპირველესად, ნავთობის დიდი მარაგებით, რომელთა მიმართ დასავლეთის სახელმწიფოების ეკონომიკური ინტერესებიც მაღალია.

ნავთობის ტრანსპორტირებისთვის გამოიყენება საქართველოს ორი დიდი ნავსადგური, ასევე სუფსის ტერმინალი. როგორც ბათუმსა და ფოთში, ისე სუფსაშიც ხორციელდება ტანკერების მომსახურება და ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები. სუფსის ტერმინალი დასავლეთის საექსპორტო მილსადენის ფინალური რგოლია და აწარმოებს კასპიის ზღვის ჩირაგის საბადოზე მოპოვებული ადრეული ნავთობის ტრანსპორტირებას. ტერმინალის ტევადობა ერთი მილიონი ბარელია. ბათუმის ნავსადგური ამუშავებს თითქმის ერთ მილონამდე ტონა ნავთობს წელიწადში. საერთოდ კი 2011 წელს ნავსადგურმა დაამუშავა 862 სატვირთო გემი. ასევე მნიშვნელოვანია ფოთის ნავსადგურში თხევადი ტვირთების გადამუშავების მოცულობა (მთელი ტვირთბრუნვის მოცულობის თითქმის მეხუთედი). აღნიშნული გარემოებების გამო სარეცენზიო ნაშრომში შემოთავაზებული საზღვაო სანაოსნოს მართვის ავტომატიზებული სისტემა მნიშვნელოვანია საქართველოს პორტებისთვისაც და, საერთოდ, საქართველოს ეკონომიკისთვისაც.

მოსალოდნელია, რომ მომავალში საგრძნობლად გაიზრდება საქართველოს პორტებში დამუშავებული ტვირთების მოცულობა. ამის შესატყვისად, აუცილებლად გაიზრდება პორტების თანაბარი დატვირთვის უზრუნველყოფის ამოცანის მნიშვნელობაც და შემოსული გემების ოპერატიული მომსახურების საჭიროებაც. ამ კუთხით კი აქტუალურია სარეცენზიო ნაშრომში განხილული და შემოთავაზებული საზღვაო სანაოსნოს მართვის ავტომატიზებული სისტემა. მისი მიზანია საზღვაო ფლოტის ოპერატიული მოძრაობის ორგანიზაცია და ნავსადგურების გეგმაზომიერი დატვირთვა, რაზეც არითმულ ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობის სპეციფიკურობით განპირობებული ნავთობის ტვირთების შემოსული ნაკადების შემთხვევითი ცვალებადობა, რაც ტვირთის შემომტან და გამტან ორგანიზაციათა ურთიერთშეუთანხმებლობით, საოკეანო ტრასებზე ჰიდრომეტეოროლოგიური მიდგომით თუ მრავალი სხვა მიზეზით არის განპირობებული.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დაამუშავა ციკლურად განმეორებადი პროცესებისთვის სპეციფიკური ქსელური მოდელები, სადაც მიზნის ფუნქციად აღებულია ეკონომიკურ მეცნიერებაში ფართოდ ცნობილი სატრანსპორტო ამოცანის სამი ინტერპრეტაცია (სამი ვარიანტი: საკაბოტაჟო, საზღვარგარეთ და კომბინირებული ცურვისთვის.

პირველი ვარიანტისთვის, ისე როგორც ზოგადად სხვებისთვისაც, დასახულია სავალუტო შემოსავლების მაქსიმალიზაციის ამოცანა არსებული ტექნიკური საშუალებების შემოსაზღვრულობის, პორტის გამტარუნარიანობის და გემების რეალური რიცხვის გათვალისწინებით.

ავტორს მაღალმეცნიერულ დონეზე აქვს დაყენებული და თეორიულად გადაწყვეტილიც ბევრი ამოცანა, რომელთა პრაქტიკული განხორციელება, ერთი მხრივ, საგრძნობლად გააიოლებს სამუშაოებს პორტებში და, მეორე მხრივ, დააჩქარებს გემების დამუშავების პროცესს. საბოლოოდ კი ეს ხელს შეუწყობს ტვირთების მოზიდვასაც. ეს ამოცანებია:

- გემების ოპტიმალური დატვირთვისა და ნავთობის მარაგების მართვა;
- ნავსადგურებში ტანკერების ოპტიმალური მომსახურება მათემატიკური და ქსელური მოდელების გამოყენებით;
- სატრანზიტო-საექსპორტო ნავთობის წარმოების მართვის კანონზომიერების განსაზღვრა;
- ნავთობის წარმოების და ერთიანი სატრანსპორტო სისტემით გადაზიდვის პროცესის მათემატიკური და გრაფიკული ანალიზი.

ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტით ავტორმა შემოგვთავაზა საყურადღებო ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ითვალისწინებს პრობლემის ორგანიზაციულ, მეთოდოლოგიურ და სამართლებრივ ჭრილში გადაჭრას... ეს კი სასიკეთოდ წაადგება პორტების მართვის სისტემას და ღირებული შენაძენია მენეჯმენტის თეორიისთვის.

**სოლომონ პავლიაშვილი,**
**თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**

**გელა ტყეშელაშვილი,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტრანსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

◉ ინფორმაცია

## კვლევის მიხედვით, თურქეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების რაოდენობა შემცირდა

**თურქეთიდან** საქართველოში ფულადი გზავნილების რაოდენობა შემცირდა, რაც ამ ქვეყანაში ქართველებისთვის გართულებული სამუშაო პირობებით და შეზღუდვებით არის გამოწვეული. ამის შესახებ ნათქვამია „ილიაუნი ბიზნეს რევიუს“ მორიგ კვლევაში „სწრაფი ფულადი გზავნილების ბაზარი 2011“.

„ილიაუნი ბიზნეს რევიუს“ მკვლევარების განცხადებით, 2012 წელს გზავნილები კიდევ უფრო შემცირდება თურქეთიდან, რადგან ეს ქვეყანა საქართველოდან სამუშაოს მაძიებლებისთვის სამუშაო ვიზების გარეშე მუშაობის შეზღუდვას აპირებს.

— თურქეთთან ფულადი ტრანსფერების მოცულობა უფრო მეტია, რადგან გეოგრაფიული სიახლოვე სამუშაო ძალის ხშირ მოძრაობას უწყობს ხელს. შესაბამისად, მიგრანტებს ფული ჯიბით გადააქვთ და გადმოაქვთ, — აცხადებენ „ილიაუნი ბიზნეს რევიუს“ მკვლევარები.

ინტერპრესი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი და აფხაზეთი ჯანმრთელობის კერებს ვერ იყოფენ

რუსეთისა და აფხაზეთის ურთიერთობაში ახალი კონფლიქტი მწიფდება, რაც დაკავშირებულია რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული სანატორიუმ-საკურორტო კომპლექსს „იუჟნის“ დახურვასთან, რის შედეგადაც დაახლოებით 1500 კაცი უმუშევარი დარჩება. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში ამტკიცებენ, რომ სანატორიუმი „არარენტაბელურია“, აფხაზეთში კი – რომ მოსკოვი ამ გზით აპირებს მოიპოვოს საკუთრების უფლება საკურორტო ობიექტებზე.

გასული კვირის ბოლოს სამხედრო სანატორიუმებმა „გაგრამ“ და „გუდაუტსკიმ“ მიიღეს უწყება იმის შესახებ, რომ სანატორიუმ-საკურორტო კომპლექს „იუჟნის“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მთელი პერსონალი იქნება გათავისუფლებული. სანატორიუმის ხელმძღვანელობაში ამ ინფორმაციას კომენტარს არ უკეთებენ, მაგრამ სანატორიუმ „გაგრის“ საიტზე გაჩნდა განცხადება: „გაცნობებთ, რომ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმ-საკურორტო კომპლექსის დეპარტამენტის განკარგულებით, 2011 წლის 13 დეკემბრიდან დამსვენებელთა მიღება შეწყვეტილია. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს 2012 წლის 14 თებერვლის ბრძანებით „იუჟნი“ ლიკვიდირებულია, მაშასადამე, სამხედრო სანატორიუმი „გაგრაც“.

აფხაზეთის მთავრობაში დაგვიდასტურეს, რომ წერილები მიღებულია სანატორიუმის ხელმძღვანელობის მიერ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროდან, და გვირჩიეს კომენტარებისთვის მივმართოთ აფხაზეთის პრეზიდენტ ალექსანდრ ანქვაბს. „ეს შეკითხვები მიეცით რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს“, – გვირჩია, თავის მხრივ, ბატონმა ანქვაბმა.

ჩვენმა წყარომ თავდაცვის სამინისტროში დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამჟამად „რეალურად განიხილება“ საკითხი სანატორიუმ-საკურორტო კომპლექს „იუჟნის“ ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. „ჯერჯერობით მიმდინარეობს მხოლოდ კონსულტაციები ამ რეგიონში იმ უძრავი ქონების პერსპექტივების შესახებ, რომლებიც სამინისტროს ბალანსზე იმყოფებიან, – გვაცნობა თანამოსაუბრემ. – სავსებით შესაძლებელია, რომ მისი შენახვა იქნება არამიზანშეწონილი, რეკონსტრუქცია კი – არარენტაბელური“. ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორი კონსულტაციები მიმდინარეობს ამასთან დაკავშირებით, მოსაუბრემ გვიპასუხა: „პოლიტიკური“.

სხვათა შორის, თავდაცვის სამინისტროს ინტერესი აფხაზეთის სანატორიუმებისადმი უფრო ეკონომიკური ხასიათისაა. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ტატიანა შევცოვამ, რომელიც უწყებაში საფინანსო-ეკონომიკურ ბლოკს კურირებს, მიიღო ისეთი ჩინოვნიკის რეპუტაცია, რომელიც, ჩვენი თანამოსაუბრის სიტყვებით, „ცდილობს მოახდინოს ხარჯების ოპტიმიზაცია და ყველაფერი არასაჭირო და არარენტაბელური გაყიდოს“. უზარმაზარი საკურორტო კომპლექსები აფხაზეთში არ გარემონტებულა საბჭოთა პერიოდის შემდეგ და დღეს მცირე შემოსავალი მოაქვთ, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროში სურთ სიტუაციის გამოსწორება.

მაგრამ დავამ საკურორტო უძრავ ქონებასთან დაკავშირებით შეიძლება ძლიერ გაართულოს რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობანი. აფხაზეთში სამხედრო სანატორიუმების თანამშრომელთა გათავისუფლება – მტკივნეული თემაა. გასულ გაზაფხულზე რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს განკარგულებით, სამხედრო სანატორიუმ „სოხუმის“ ათასზე მეტი თანამშრომელი გაათავისუფლეს მისი დახურვის გამო რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. სანატორიუმის თანამშრომლები გამოვიდნენ ქუჩაში საპროტესტო აქციებით. მათი აზრით, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა სანატორიუმის გაყიდვა, ამიტომ გაათავისუფლა კიდეც თანამშრომლები, იმის მაგივრად, რომ ისინი ხანგრძლივ შვებულებაში გაეშვა. ასეთმა ვარაუდმა მაშინ დიდი ხმაური გამოიწვია: აფხაზეთის კანონების თანახმად, ეს ობიექტები აფხაზეთის საკუთრებად ითვლება და არ შეიძლება იქნენ გაყიდული მთავრობათაშორისი შეთანხმების გარეშე.

„არ არის დოკუმენტი, სადაც ჩაწერილი იქნებოდა, რომ სანატორიუმები გადაეცა რუსეთის ფედერაციის საკუთრებაში, – ამბობს სოხუმის გაზეთ „ნუჟნაიას“ მთავარი რედაქტორი იზიდა ჭანია. – აფხაზეთის ბევრი მოქალაქე გამოთქვამს შიშს, რომ რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის ხელისუფლებათა შორის შეიძლება იყოს დადებული არაოფიციალური შეთანხმებანი, რაც ამ ობიექტებს შეეხება“. მისი კოლეგა ინალ ხაშიგი ავითარებს თეზისს: „მთელ ამ აურზაურს სანატორიუმებთან დაკავშირებით მივყავართ იმ აზრამდე, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ დაიდო შეთანხმებანი სამხედრო სანატორიუმების რუსეთისთვის გადაცემის შესახებ, და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას შეიძლება ჰქონდეს თავისი გეგმები ამ ობიექტებთან დაკავშირებით. მაგრამ აფხაზეთში ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებით სიტუაცია შეიძლება შეცვლილიყო, და ამჟამად რუსეთის მხარე, შესაძლებელია, ცდილობს გადაჭრას ეს საკითხები თავის სასარგებლოდ. მაგრამ ამ ობიექტების სხვა სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა აფხაზეთის კანონებით შეუძლებელია“.

ექსპერტები აფხაზეთში ვარაუდობენ, რომ ამჟამინდელი კონფლიქტური სიტუაციის მიზეზია „არასწორად გაფორმებული“ მთავრობათაშორისი შეთანხმებანი, რომლებიც დაიდო მალე აფხაზეთის აღიარების შემდეგ. „არის მთავრობათაშორისი შეთანხმება რუსეთის სამხედრო ბაზის შესახებ აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბაზის ობიექტებია სამხედრო სანატორიუმებიც, – შეგვახსენა აფხაზეთის ექსგენერალურმა პროკურორმა ანრი ჯერგენიამ. – მაგრამ ამ შეთანხმებაში ცალკეული პუნქტით არის აღნიშნული, რომ სანატორიუმის მართვის საკითხი უნდა დაზუსტდეს სპეციალურ შეთანხმებაში. არანაირი ცალკე შეთანხმება ოფიციალურად არ დადებულა. ამიტომ სანატორიუმი აფხაზეთის საკუთრებაა, სანატორიუმ „გაგრის“ გარდა, რომელიც რუსეთის მხარეს გადაეცა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით ჯერ კიდევ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამდე“. ექსგუბერნატორის სიტყვებით, სამხედრო სანატორიუმები აფხაზეთში „ცაზე ჩამოკიდებულ მდგომარეობაში“ იმყოფებიან: ოფიციალურად ისინი აფხაზეთის საკუთრებაა, სინამდვილეში მიერთებული არიან რუსეთის სამხედრო ბაზაზე და, რუსეთის კანონების შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის საკუთრებაა. ბატონი ჯერგენია მიიჩნევს აფხაზეთის კანონმდებლობის დარღვევად სამხედრო სანატორიუმების გაერთიანებას სანატორიუმ-საკურორტო კომპლექს „იუჟნიში“. „ერთ-ერთი სანატორიუმი რუსეთის საკუთრებაა, დანარჩენი სამი კი – აფხაზეთის საკუთრება, – განმარტავს ანრი ჯერგენია. – და თავდაცვის სამინისტროს არ ჰქონდა უფლება გაეერთიანებინა ისინი ერთ კომპლექსში“.

სხვათა შორის, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ დიდ პრობლემას ვერ ხედავენ სანატორიუმ-საკურორტო კომპლექს „იუჟნის“ თანამშრომელთა გათავისუფლებაში, ისევე როგორც კომპლექსის ლიკვიდაციაში. „თუ თანამშრომლებისთვის ყველა გადასახდელი გადახდილი იქნება, პრობლემებიც აღარ იქნება, – ამბობს ჩვენი თანამოსაუბრე. – შარშან იყო კონფლიქტური სიტუაცია სანატორიუმ „სოხუმთან“ დაკავშირებით, მაგრამ დეკემბერში ყველა საკითხი მოგვარდა: თანამშრომლებმა მიიღეს კომპენსაცია თავდაცვის სამინისტროსგან და საკითხი დაიხურა“.

შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი, ანრი ჯერგენიას აზრით, შეიძლება იყოს მხოლოდ უძრავი ქონების შესახებ იჯარის ხელშეკრულების დადება რუსეთსა და აფხაზეთს შორის. ინალ ხაშიგის აზრით კი, რუსეთის თავდაცვის უწყების ინტერესებში შედის არა სანატორიუმების იჯარა, არამედ მათი ფლობა საკუთრების უფლებით: „ისინი ფულს დააბანდებენ იმაში, რაც მათ არ ეკუთვნის“.

ამიტომ ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ სანატორიუმებს „გაგრასა“ და „გუდაუტსკის“ ელოდება სოხუმის სამხედრო სანატორიუმების ბედი, რომლებიც ერთი წლის წინათ უკვე დაიხურა. ამრიგად, რუსეთის მხარეს, ისე რომ არ განავითაროს ობიექტები და არ გადასცეს ისინი აფხაზეთს, შეუძლია მოახდინოს ზემოქმედება აფხაზეთის ხელისუფლებაზე და მოითხოვოს საკუთრების საკითხის გადაწყვეტა.

Коммерсантъ

# რუსეთმა უნდა გააცნობიეროს, რომ ცივი ომი დასრულდა

გასულ კვირაში გაზეთი The Independent იუწყებოდა იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობს რუსეთი უღიარებული ქართული რეგიონების – აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთისთვის საერთაშორისო აღიარების ყიდვას. სტატიაში სწორად არის აღნიშნული, რომ კამპანია სრული ფიასკოთი დასრულდა. იმის მიზეზი, რომ მოსკოვის ხრიკებს მხოლოდ ოთხი ქვეყანა აჰყვა (ვენესუელა, ნიკარაგუა, ნაურუ და ტუვალუ), არის ის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის დიდი ნაწილი ინფორმირებულია იმის თაობაზე, რომ რუსეთი ცდილობს ორი ქართული პროვინციის სამხედრო ოკუპაციის დაკანონებას.



2008 წლის ომის დროს რუსეთმა ამ ორ რეგიონზე კონტროლი განამტკიცა დაგეგმილი ინტერვენციის დროს, რასაც ამ რეგიონების მოსახლეობის დიდი ნაწილის შემდგომი ეთნიკური წმენდა მოჰყვა. დაიწვა სახლები, საზოგადოებები გაიხლიჩა, ადამიანთა ცხოვრება და არსებობის საშუალებები ნადგურდებოდა.

დღეს სამხრეთი ოსეთი ასრულებს მხოლოდ რუსული სამხედრო ბაზის როლს საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო აფხაზეთი სავალალო მდგომარეობაშია. ეკონომიკა ინგრევა, ბუნებრივი სიმდიდრე იძარცვება (და ამის მიზეზი ისიც არის, რომ 2014 წლის სოჭის ოლიმპიადას სამშენებლო მასალებით ამარაგებენ), რეგიონში კი კრიმინალია გაბატონებული. ხმის მიცემის უფლება საყოველთაო არ არის, ეთნიკური კუთვნილებით განისაზღვრება, და ამ შემთხვევაშიც კი არჩევნების შედეგები რუსეთმა უნდა მოიწონოს (რაც მან არ გააკეთა ახლახან სამხრეთ ოსეთში, და მანამდე აფხაზეთში). დამოუკიდებლობის ნაცვლად ორივე ქართული რეგიონი ფაქტობრივად ჩრდილოეთი კავკასიის, რუსეთის ყველაზე ღარიბი რეგიონის ნაწილად იქცა, სადაც უმუშევრობის და კორუფციის დონე რუსული სტანდარტებითაც კი უზარმაზარია, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანის ძირითადი უფლებები აბსოლუტურად დაუცველობაზე.

შეადარეთ ეს ბოლო დროს საქართველოში, კერძოდ ქვეყნის ავტონომიურ რეგიონში აჭარაში, შექმნილ სიტუაციას. ეკონომიკა იზრდება (შარშან თითქმის 7%-მდე), შავი ზღვის სანაპიროზე შენდება სასტუმროები, ხოლო მოქალაქეები ჯანდაცვის და განათლების სფეროში ეფექტიანი სახელმწიფო მომსახურებით სარგებლობენ. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკმა თავის ბოლო ანგარიშში შეაქო საქართველოში განხორციელებული ანტიკორუფციული რეფორმები, უწოდა მას უპრეცედენტო და მისაბაძი მოდელი სხვა ქვეყნებისთვის. აჭარა, რომელიც ავტონომიით სარგებლობს ქართულ სახელმწიფოში, სულ უფრო ვითარდება იმ შეთანხმების ფარგლებში, რომლითაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც ისარგებლებდნენ.

მაგრამ, თავდაპირველად ჩვენ სამუდამოდ უნდა შევაჩეროთ რუსები სამხრეთი ოსეთის და აფხაზი ხალხების „ნების“ „ციტირებისგან“, რომლებიც თითქოს საქართველოსგან „დამოუკიდებლობას ირჩევენ“: ორივე რეგიონში მოსახლეობის უმრავლესობა ძალით გამოაძევეს საკუთარი სახლებიდან რუსული არმიის დამხარებით, და სწორედ ეს არმიაა იმის გარანტი, რომ ისინი უკან ვეღარ დაბრუნდნენ. რაც შეეხება ნებას...

ჩემი მთავრობის სტრატეგია იმ მოსახლეობის გულებისა და გონებისკენაა მიმართული, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რჩება, იმ ადამიანების ჩათვლით, რომლებიც სეპარატიზმს უჭერენ მხარს. გეგმა, ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯის სახით, მოიცავს ამ ადამიანების უზრუნველყოფას ისეთი მთავარი სახელმწიფო სერვისებით, როგორებიცაა ჯანდაცვა და განათლება. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ საქართველო რეგიონებს სთავაზობს ნამდვილ და არა წარმოსახვით ავტონომიას საქართველოს შიგნით, რომელიც თანამედროვე ევროპული დემოკრატიის მშენებლობის პროცესშია.

ამ კვირის The Independent-ის სტატიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ გადამწყვეტი ფაქტორი იმაში, თუ როგორ განსაზღვრავენ ქვეყნები თავიანთ პოზიციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, ფულია. რეალობა კი ის არის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ თავისი გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლის პრინციპების და ეთნიკური წმენდებისადმი ზიზღის საფუძველზე მიიღო. პუტინის მთავრობამ შეიძლება ყველაფერი იღონოს, რომ იყიდოს მხარდაჭერა მისი განწირული პოლიტიკისთვის – მაგრამ მისი მიდგომა მარცხისთვისაა განწირული, სჯობს თავიანთი რუბლი სხვა ადგილებში გამოიყენონ. მან უნდა გააცნობიეროს, რომ ცივი ომი დასრულდა.

**გიორგი ბადრიძე**

THE INDEPENDENT

## დედამიწის ზურგზე



**ტიმოშენკოს ქალიშვილმა ისაუბრა დედის ყალბ დიაგნოზსა და წამებაზე**

ევგენია ტიმოშენკოს სიტყვებით, უკრაინელმა ჩინოვნიკებმა მოახდინეს უცხოელი ექიმების მიერ დედამიწისთვის დასმული დიაგნოზის „ფალსიფიცირება“. ამგვარი მანიპულაციები გრძელდება სამი თვეა, ამ დროს იულია ტიმოშენკოს „აწამებენ“ 24- საათიანი ვიდეოთვალთვალითა და შუქით.

* * *

**ამერიკელმა ასტრონომებმა აღმოაჩინეს „წყლის სამყარო“**



მზისგარეშე პლანეტა დედამიწიდან 40 სინათლის წლითაა დაშორებული და არის ოკეანე პატარა სახმელეთო კუნძულებით და გარს აკრავს სქელი ორთქლის ატმოსფერო. მაღალი ტემპერატურისა და ეგზოტიკური გარემოს გამო პლანეტაზე შეიძლება თვალყური ადევნო „ცხელ ყინულს“ და „ზეთხევად წყალს“.

* * *

**სირიაში ერთ დღეს 100-ზე მეტი კაცი დაიღუპა. ჰომსს ჰუმანიტარული კატასტროფა ელოდება**



იდლიბის პროვინციაში სამთავრობო ჯარების შეტევის შედეგად მოკლეს 55 კაცი, ჰომსში კი – 45, ამტკიცებს სირიის ოპოზიცია. ქალაქში არ მუშაობს მაღაზიები, არ კმარა სურსათი, არ არის ელექტროენერგია და წყალი. ოპოზიციას ეშინია, რომ სროლები შეიძლება გაძლიერდეს ახალი კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებული რეფერენდუმის წინ.

* * *

**იემენში დამთავრდა სალეხის 33-წლიანი ეპოქა: მცხოვრებლებმა აირჩიეს პრეზიდენტი ერთი კანდიდატიდან**

არჩევნების შედეგები წინასწარ იყო განსაზღვრული – ალი აბდულა სალეხის ნაცვლად სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგება ვიცეპრეზიდენტი აბდ-რაბუ მანსურ ხადი. მას მოუწევს გადაარჩინოს ქვეყანა დაშლისგან და უზრუნველყოს საფინანსო დახმარება სპარსეთის ყურისა და დასავლეთის ქვეყნების მხრიდან. იემენის დახმარებისთვის მზადაა რუსეთიც.



# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
# ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება
## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

[illegible]

ჭადრაკი

# სუპერთასი — ნანა ძაგნიძეს



**სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ოთხ დღეს გრძელდებოდა პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის (პრეზიდენტი ემილ სუტოვსკი) სუპერთასის გათამაშება (საპრიზო ფონდი 40.000 დოლარი) ქალთა შორის სწრაფ ჭადრაკში (თითოეული პარტიისთვის 20-20 წუთს + 5 წამი ყოველი სვლისთვის).** შეჯიბრებაში წრიული სისტემით 9 ქვეყნის 12 სახელოვანი დიდოსტატი მონაწილეობდა. ესენი არიან: ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ცხრაგზის გამარჯვებული მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები — ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) და ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები — კატერინა ლაგნო (უკრაინა), ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), პია კრამლინგი (შვედეთი, საჭადრაკო ოლიმპიადების ოქროსმედალოსნები და პრიზიორები — ნანა ძაგნიძე და ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი), 20-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი, თბილისური ბატალიების რეიტინგფავორიტი ანა მუზიჩუკი (სლოვენია), ამერიკელი ანა ზატონსკიხი და აზერბაიჯანის მრავალგზის ჩემპიონი ზეინაბ მამედიაროვა.

შეჯიბრება წარუმატებლად დაიწყო ნანა ძაგნიძემ, რომელსაც სამი ტურის შემდეგ მხოლოდ ნახევარი ქულა ჰქონდა, მაგრამ მომდევნო შეხვედრებში სიჩქარე აკრიფა და 11 ტურის შემდეგ 8 ქულა აღმოაჩნდა, როგორც პია კრამლინგს, რომელიც ბოლო ტურში საპრიზო ადგილის პრეტენდენტ კატერინა ლაგნოს დაუზავდა, ნანამ კი დაძაბულ პარტიაში ტატიანა კოსინცევას სძლია. გამარჯვებულის გამოსავლენად ტაიბრეიკები დაინიშნა. ორი ბლიცპარტია ყაიმით დასრულდა. მესამეში, ე. წ. „არმაგედონში“, რომელშიც ძაგნიძე შავი ფიგურებით იყო და წუთით ნაკლები დრო ჰქონდა, ქართველმა დიდოსტატმა 53-ე სვლაზე გაიმარჯვა და მთავარი პრიზიც (10 000 დოლარი) დაიმსახურა. მეორე ადგილი პია კრამლინგს ერგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: კატერინა ლაგნო — 7,5, ანა მუზიჩუკი — 7, მაია ჩიბურდანიძე — 6, ტატიანა კოსინცევა — 5,5, ალექსანდრა კოსტენიუკი — 5,5, ანტოანეტა სტეფანოვა — 5, ნადეჟდა კოსინცევა — 4,5, ანა ზატონსკიხი — 4,5, ვიქტორია ჩმილიტე — 3,5, ზეინაბ მამედიაროვა — 1 ქულა.




ათიოდე დღეში ბებერი კონტინენტის წარმომადგენლები სტამბოლში მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატში ჩაებმებიან.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# მეტყველი ციფრები

**ცსკა-ს და მადრიდის „რეალის“ პირველ მერვედფინალურ მატჩს საგულისხმო სტატისტიკა უძღოდა, რაც გარკვეულწილად ლუჟნიკებში გამართულმა ბრძოლამაც „გაამართლა“:**

„სამეფო კლუბმა“ უკანასკნელი 30 თამაშიდან 27 მოიგო და თავს გასვლითი 14-შეხვედრიანი წაუგებელი სერიით იწონებდა, რომელთაგანაც 9 ჩემპიონთა ლიგაზე მოდიოდა, თანაც ჟოზე მოურინიუს გუნდს უგოლოდ ერთხელაც არ დაუტოვებია სარბიელი. რუსეთის დედაქალაქში ვიზიტამდე პირინეელები ერთადერთნი იყვნენ მიმდინარე გათამაშებაში, ყველა მატჩი რომ ჰქონდათ მოგებული.



ფავორიტისგან განსხვავებით, აკინფეევის, გონსალესისა და ჰონდას გარეშე მოასპარეზე მასპინძლებს ერთადერთი, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი თვისება — მსაჯის საფინალო სასტვენამდე იშვიათი სპორტული ჟინით ბრძოლისუნარი უმაგრებდათ ზურგს, რასაც ასეთი ფაქტიც ცხადყოფდა: აქამდე გატანილი 9 გოლიდან 5 დასკვნითი 15 წუთის განმავლობაში გაიტანეს.

**ცსკა — „რეალი“ 1:1.**

**გოლები:** რონალდუ; ვერნბლუმი.

რადგან რუსულ-ესპანური დუელი ციფრებით „შევკმაზეთ“, მეორე წყვილზეც ანალოგიურად მოვიქცეთ.

ევროტურნირებზე „ნაპოლი“ შინ უკანასკნელად უკვე შორეულ 1994 წელს დამარცხდა, ჩემპიონთა ლიგის ბოლო 3 შეხვედრაში კი მეტოქის კარში მინიმუმ 2 გოლი გაჰქონდა. და ეს მაშინ, როცა მთელი ტურნირის მანძილზე მოწინააღმდეგეს ზუსტად მხოლოდ 18-ჯერ დაურტყა. აი, კლასი!



საპირისპიროდ გამოიყურებოდა „ჩელსის“ ნაღვაწი: „არისტოკრატებმა“ 53-ჯერ(!) გაისროლეს ოპონენტთა კარისკენ, რაც მესამე შედეგი იყო „ბარსელონასა“ და „რეალის“ შემდეგ. აღსანიშნავია, რომ „ჩელსი“ ზედიზედ მეცხრედ გავიდა ელიტური ტურნირის პლეი-ოფში, თუმცა პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელი 4-4 მატჩიდან ერთის მოგებაც კი ვერ მოახერხეს.

**„ნაპოლი“ — „ჩელსი“ 3:1.**

**გოლები:** ლავეცი (2), კავანი; მატა.

# მატჩი 10 მაისს დაიწყება

**მოსკოვში ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეის მიხეილ ვრუბელის დარბაზში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ვიშვანათან ანანდისა და ბორის გელფანდის მატჩის ჩატარების კონტრაქტზე ხელმოწერა. მასში მონაწილეობდნენ რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არკადი დვორკოვიჩი და „ტრეტიაკოვის“ გენერალური დირექტორი ირინა ლებედევა.**

მატჩი გაიმართება 2012 წლის 10 მაისიდან 31 მაისამდე ტრეტიაკოვის გალერეის საინჟინერო კორპუსში. სათამაშო დარბაზი 400-მდე მაყურებელს იტევს, შესვლა თავისუფალი იქნება. ამასთან მოეწყობა პარტიების პირდაპირი ტრანსლაცია ინტერნეტში.

ძიუდო

# ბოლო აკორდი — პრაღაში

**მომავალ შაბათ-კვირას ძიუდოისტთა სალიცენზიო ტურნირები პრაღის მსოფლიოს თასით დასრულდება. სალიცენზიო მარათონში დარჩება ერთადერთი შეჯიბრება — ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც 26-28 აპრილს ჩელიაბინსკი უმასპინძლებს.**

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პეტერ ზაიზენბახერმა პრაღაში წამსვლელთა სიაში 20 ფალავანი დაასახელა. ესენი არიან: პაატა მერებაშვილი (60), შალვა ქარდავა, ლაშა შავდათუაშვილი, სანდრო იაკობაშვილი, მინდია ლილუაშვილი (ყველა — 66), წუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი, ზურაბ ნოზაძე (73), ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური, ბექა ღვინიაშვილი (81), ვარლამ ლიპარტელიანი, ზურაბ ზვიადაური, ლაშა გურული (90), ლევან ჟორჟოლიანი, ირაკლი ქობლიანიძე, ალექსანდრე მსხალაძე, ნოდარ მეტრეველი (100), ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი (+100).



განაცხადში ისევ ვერ მოხვდა ცნობილი ძიუდოისტი გიორგი ბაინდურაშვილი (81), რომელმაც ამას წინათ გვარი ბაინდუროვად გადაიკეთა და ამჯერად რუსეთში სამბისტთა ტურნირზე გამგზავრება არჩია. გიორგი კარგა ხანია, საქართველოს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და, ეტყობა, სხვა ქვეყანაში სურს გადასვლა. არ არის გამორიცხული, გვარის გადაკეთებაც ამ ფაქტთან იყოს დაკავშირებული.

**ლაშა დიდია**

ქომაგი

# სტადიონი მისი სტიქიაა



**ათასგვარი გულშემატკივარი მინახავს, მაგრამ კუკური (ელვარდი) ლომიძე მათ შორისაც კი განსაკუთრებულია.**

ლაგოდეხის რაიონის სოფელ გურგენიანში აღზრდილმა ყმაწვილმა, ათასობით თანატოლის მსგავსად, ახალ ინდუსტრიულ გიგანტს — რუსთავს მიაშურა, საფუძვლიანად დაეუფლა ენერგეტიკოსის პროფესიას და მას შემდეგ საზოგადოებას ანათებს როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, რასაც, ვფიქრობ, შემოთავაზებული ფოტოც ადასტურებს.

რაც შეეხება ჩვენს ნაცნობობას, იგი მის გატაცებას — ფეხბურთს უკავშირდება. ხატოვნად თუ ვიტყვით, სადაც კი ბურთი გაგორდება, ეს კოლორიტული პიროვნება იქ იმყოფება და ისე ძირფესვიანად მიმოიხილავს სათამაშო ნიუანსებს, ამ საქმეში ჭიპმოჭრილ კალმოსნებსაც კი შეშურდებათ. მეტიც, ხანდახან ისეთ ინფორმაციას გაგანდობს, კაცს თმა ყალყზე დაგიდგება. აღარაფერს ვამბობ მსჯელობის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ჯიგრიან მანერაზე.

იტალიური ფეხბურთის ტრფიალი შვილებითა და შვილიშვილებით ხარობს. ვუსურვებთ, მალე თანამემამულეთა სასახელო საფეხბურთო ტრადიციების აღორძინებითაც ეხაროს.

დღეს კუკური ლომიძეს 60 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ!

**გია პლატონიშვილი**

ინტერნეტიდან

# დასჯაც ამას ჰქვია

**ფიფას სადისციპლინო კომიტეტმა ერთი მატჩით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა უზბეკეთის ნაკრების ხუთ მოთამაშეს 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ყვითელი ბარათების განზრახ მიღებისთვის. შარშან ნოემბერში ტაჯიკეთთან შეხვედრის ბოლოს (3:0) ხუთმა ფეხბურთელმა მსაჯისგან მიიღო გაფრთხილება დროის გაყვანის გამო, რადგან შემდეგ მატჩს იაპონიის წინააღმდეგ ტურნირზე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.**



ეს 5 მოთამაშე გამოტოვებს მსოფლიო პირველობის შესარჩევ მეოთხე ეტაპის პირველ მატჩებს. აგრეთვე, თითოეული გადაიხდის ჯარიმად 3 270 დოლარს. ფულადი ჯარიმა მიიღო ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ.

ფიფა და უეფა იბრძვიან საჯარიმო ბარათების განზრახ მიღების წინააღმდეგ. ასე იყო, მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის მატჩზე „რეალი“-„აიაქსის“. როგორც გამოირკვა მადრიდელების დამრიგებელმა ჟოზე მოურინიუმ სთხოვა ხაბი ალონსოსა და სერხიო რამოსს „მდოგვის ბარათების“ მიღება. მაშინ უეფამ ერთი მატჩით დასაჯა მოურინიო, გუნდი კი 133 ათასი დოლარით დააჯარიმა.

სხვა გაზეთიდან

*„როგორც ეტყობა, ბარძაყი მომტყდა... ცოტა მაცადეთ, მე ჯერ კიდევ ვარ ყოვლისშემძლე, რომ მივაყენო ჩემი დარტყმა, ვისაც ეკუთვნის!“ – ეს სიტყვები გაისმა 175 წლის წინათ, 1837 წლის თებერვალში, ჩორნაია რეჩკაზე. ეს გაურითმავი სტრიქონები, თანაც წარმოთქმული ფრანგულ ენაზე, მეტყველებენ ავტორის პიროვნებაზე ლამის უფრო მეტად, ვიდრე მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ავტორის სახელია – ალექსანდრე პუშკინი.*

*სროლების იმ შორეული გაცვლის შესახებ, რომელიც, თუ პოლიციელთა ენაზე ვილაპარაკებთ, გაიმართა „ტიტულარულ სოვეტნიკს (მე-9 კლასის მოხელე ძვ.რუსეთში – გთ.ძ, კამერ-იუნკერ ალექსანდრ სერგის ძე პუშკინსა და კავალერიის პოლკის პორუჩიკს გეორგ კარლ დე გეკარნ, დანტესს შორის“, თითქმის ყველაფერია ცნობილი. ვინ სად იდგა, რა ეცვა, როგორ ისროდა, როგორი იყო პისტოლეტები, რა თქვეს შეტაკების მონაწილეებმა. რასაკვირველია, ცნობილია გამოწვევის ფორმალური მიზეზებიც. აიო, საზოგადოებაში უკვე დიდი ხანი იყო ვრცელდებოდა ხმები არასასიამოვნო ურთიერთობის შესახებ პუშკინის ცოლსა და დანტესს შორის, და აი გაისმა კიდეც ხმაო: „გთხოვთ ბარიერთან!“.*

**ეძებდა სიკვდილს...**

**„დუელის წესიერი მიზეზი არც ყოფილა, და პუშკინის გამოწვევა გვიჩვენებს, რომ მისი საბრალო გული დიდი ხანია იტანჯებოდა და რომ მას სურდა რისკი გაეწია ცხოვრებასთან, რათა ერთბაშად გაშორებოდა მას ან განეახლებინა იგი“, – წერს მისი თანამედროვე ალექსეი ხომი-**

გორც იქნა, როდესაც უკვე ყველაფერს დაელოდნენ და საფრთხე თავიდან მოიშორეს, პოეტი აპირებს გამომგზავრებას. ოთხთვალაში ცხენები შებმულია და დაიძრა ადგილიდან. მაგრამ გამოირკვა, რომ პუშკინის მოსამსახურეს ციება შეეყარა და დაწვა, აქ კიდევ, თითქოს განგებო, მამულის კარში შემოდის ადგილობრივი მღვდელი. ეს უკვე ნალდია, გზა

ნის ბედისწერასა და წინასწარდასახულობას. აგირავებს საოჯახო ვერცხლს და ამ ფულით ყიდულობს პისტოლეტებს „სამხედრო ნივთების მაღაზიაში“ ნევის პროსპექტზე № 13-ში. სახლიდან როდესაც გამოდიოდა, გაახსენდა, რომ დაავიწყდა ქურქი და ბრუნდება უკან, თუმცა მანამდე „ყოველთვის იძლეოდა ხოლმე განკარგულებას გამოეშვათ ცხენები და არსად აღარ მიდიოდა, თუ რაიმეს ივიწყებდა, მიაჩნდა, რომ გზა და წარმატებები აღარ ექნებოდა“. მაშ, რა მოხდა?

# ჯახი ბედისწერასთან

## პუშკინმა იცოდა, რომ მოკლავდნენ, მაგრამ გამოწვევა მიიღო

**აკოვი. პოეტის ახლო მეგობარი გრაფი ვლადიმირ სოლოგუბი ამტკიცებს: „თავისი ცხოვრების ბოლო წელს პუშკინი გადაჭრით ეძებდა სიკვდილს“.**

პუშკინი მართლაც ეძებდა. სხვა საქმეა, რომ ეძებდა არა სიკვდილს – უფრო მეტად თავის ბედისწერას. იმას, რაც წინასწარ იყო განსაზღვრული ან წინასწართქმული. „ო! ეს დიდმნიშვნელოვანი თავია, თქვენ უბრალო ადამიანი არა ხართ! – ასე უთხრა „ყავაზე მკითხავმა გერმანელმა ქალმა კირხჰოფმა“, როდესაც სრულიად ახალგაზრდა პუშკინი მივიდა მასთან თავისი მომავლის გასაგებად, – თქვენ სახელს გაითქვამთ და გახდებით თქვენი თანამემამულეების სათაყვანო კერპი, ორჯერ გადაგასახლებენ და იცხოვრებთ დიდხანს, თუ ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში არ გადაეყრებით უბედურებას თეთრი ცხენისგან ან თეთრი თავისგან“.

იმის შესახებ, რომ „ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში“ მას ესვრის პლატინასავით ქერა დანტესი, პუშკინმა, რა თქმა უნდა, არ იცოდა და არც ეცოდინებოდა. ის ნამკითხავებს სავსებით სერიოზულად შეხვდა. 1830 წელს, გერმანელ მკითხავთან საუბრიდან 11 წლის შემდეგ, ის ფიქრობდა წასულიყო მაშინ ამბოხებულ პოლონეთში. და უარი თქვა ამაზე. მოტივი მარტივი იყო: „იქ მე აუცილებლად მომკლავს მეამბოხეთა ერთ-ერთი მეთაური ვაისკოჰფი, რაც გერმანულად თეთრი თავია!“.

უნდა ითქვას, რომ პუშკინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთ-

ალარაა. პუშკინი ტოვებს მარხილს და ბრუნდება სახლში. „მას რომ კურდღლისთვის არ დაეჯერებინა, – წერს ვლადიმირ დალი, – პეტერბურგში ჩავიდოდა 13 დეკემბერს გვიანღამით და შეჩერდებოდა ამხანაგთან, რომელმაც დატოვა თავისი სარზიელი მეორე დღესვე“... თუ ვინმეს დაავიწყდა, მეორე დღეს, 1825 წლის 14 დეკემბერს, მოხდა დეკაბრისტების გამოსვლა.



პოეტი იყო მეტად ცრუმორწმუნე და გულღრძო.

ჩვენში უყვართ გაიხსენონ ხოლმე, რომ პუშკინი იყო შთამომავალი „არაბი ჰანიბალისა, ვისაც ბორკილები აჰყარეს“. მაგრამ რატომღაც ყოველთვის მყარად ივიწყებენ, რომ მამაკაცების ხაზით პუშკინი ეკუთვნოდა კეთილშობილ გვარს, რომელიც სათავეს იღებს ვილაც „რატშისგან, ცნობილი, გონიერი და პატივსაცემი გერმანელისაგან“. მისგან ხომ არ მიიღო მან მემკვიდრეობით ქცევა, რის შესახებაც პოეტის მეგობარმა ვიაზემსკიმ ერთხელ შემთხვევით თქვა: „პუშკინი ყოველდღიურ ცხოვრებაში... იყო ხოლმე გულღრძო არა მხოლოდ არაკეთილმოსურნეებისადმი, არამედ უცხოებისადმიც, ზოგჯერ თავისი მეგობრებისადმიც. ადრე თუ გვიან, ის ითხოვდა თავის ვალს, ითხოვდა დიდი სარგებლითაც. ნაკაწრები, რასაც შეგნებულად თუ შეუგნებლად აყენებდნენ, მას მალე არ უხორცდებოდა“.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისთვის მიყენებული შეურაცხყოფები ან ღირსების შემლახავი ჭორები შეიძლებოდა ჩამოგერეცხა მხოლოდ სისხლით, თუნდაც შურისმაძიებლის გზაზე ბედისწერა გაჩენილიყო. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს რუს პოეტში გაცოცხლდა ძველი სკანდინაველი სკალდების (ძველი სკანდინაველი პოეტი – მომღერლები, რომლებიც თხზავდნენ სიმღერებს ვიკინგების ლაშქრობებზე – **მთ.**ძ სული, ვინც არა მხოლოდ სიმღერებს თხზავდნენ, არამედ იარაღსაც შესანიშნავად ფლობდნენ. და, სხვათა შორის, შეეძლოთ აექულებინათ თავად ბედიც, ეცეკვა მათ სიტყვებზე. გავიხსენოთ პუშკინის ფრაზა: „მე ჯერ კიდევ ვარ ყოვლისშემძლე, რომ მივაყენო ჩემი დარტყმა, ვისაც ეკუთვნის!“ დიახ, მისი ფიზიკური ძალა არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ გასროლა სასიკვდილო ყოფილიყო. მაგრამ შურისძიება, ასე თუ ისე, მაინც შედგა. დანტესის ქალიშვილი წყევლაპრულვას უთვლიდა თავის მამას დიდი რუსი პოეტის მკვლელობისთვის, და ბოლოს თავადაც ჭკუაზე შეიშალა.

### ერთხელ ის გადაარჩინა... კურდღელმა.

მოზდა წინასწარმეტყველებებს, ზეციურ და განსაკუთრებულ ნიშნებს. ამ ნიშნებით ხელმძღვანელობდა ხოლმე კიდეც. ცრურწმენამ ერთხელ, როგორც მინიმუმი, იხსნა იგი დიდი უსიამოვნებისაგან. როდესაც 1825 წელს გარდაიცვალა იმპერატორი ალექსანდრე პირველი, პუშკინმა გადაწყვიტა „გასახლებული“ მიხაილოვსკიდან ჩასულიყო პეტერბურგში, კერძოდ კი თავის ამხანაგ კონდრატ რილეევთან. მაგრამ ტრიგორსკისკენ მიმავალ გზაზე მისი მარხილის წინ გადაირბინა კურდღელმა. ცუდი ნიშანია! პუშკინმა გადაწყვიტა უკან დაბრუნებულიყო, რომ თავიდან აეცილებინა ცუდი ნიშანი, მაგრამ აგერ კიდევ კურდღელი. რო-

### ... და გადაახდევინეს ვალები

**„რა ვქნა? ასე მეწერა, უბედურ დღეს ვარ დაბადებული“, – ხშირად უთქვამს პუშკინს და მოწმედ იყენებდა რაღაც „ჯადოსნურ ხელნაწერს“, რომელიც ზეპირად ახსოვდა და ძალიან უყვარდა მისი ციტირება.** მოვიყვანოთ ჩვენც ეს ციტატა: „ის, ვინც ერთ-ერთ ამ დღეს დაიბადება, ცუდად გახდება, ან დაიწყებს კარდაკარ სიარულს, ან დაიწყებს სამსახურს, ან კიდევ სხვა რაღაცას ჩაიდენს, და ვერაფერში ბედნიერებას ვერ იპოვის. ასეთი დღეები თებერვალში სამია: 1, 17,18; მაისში სამი: 1, 6, 26“. „მაისის დღეებთან“ დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია – 26 რიცხვში, ძველი სტილით, პუშკინს ჰქონდა უბედურება დაბადებულიყო სწორედ ამ დღეს. „თებერვალთან“ დაკავშირებით კი პოეტმა, რომელიც გაფრთხილებული იყო იმის შესახებ, რომ „სიკვდილს მიიღებს ცოლის მხრიდან“, გვიან გაიხსენა: „თვითონ ვარ დამნაშავე, დამავიწყდა – არ შეიძლებოდა ჩემი ჯვრისწერა 18 თებერვალს! ამის შესახებ მე დავფიქრდი სწორედ იმ წუთს, როდესაც ნატალია ნიკოლოზის ასულსა და მე თავზე გვირგვინს გვადგამდნენ...“

და მიუხედავად ამისა, უკანასკნელი დუელის წინ პუშკინი თითქოს გაბედულ გამოწვევას უგზავ-

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

სულთათანა

# გამოთხოვება გელა ჭუმბურიძესთან



მძიმე დროში ვცხოვრობთ. საქართველოში სიკვდილის შიშიც კი აღარ არის. თითქოს „შევეჩვიეთ“ მის ხშირ „სტუმრობას“, ბევრი წავიდა ოჯახის წევრებიდან, სამეგობროდან, მშობლიური სოფლიდან თუ ქალაქიდან, წავიდნენ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ დატოვეს სახელი, ხსოვნა, რომელიც მუდმივად სატარებელია და სახსოვარია ჩვენთვის.

ამ ფონზე თითქოს აღარაფერი შეძრავდა ჩვენს გულს, მაგრამ სულ სხვა განცდა და ტკივილია ახლა ჩვენს სამეგობროში. ვერ ვიჯერებთ რომ ჩვენმა გელამ, ამქვეყნიურ სამყაროში ცხოვრება დაასრულა...

წლებმა დაგვაკავშირა, წლებმა გამოსცადა ჩვენი ძმობის და თანადგომის უნარი. გელა შეუდარებელი იყო. მას ისე არავინ იცნობდა, როგორც ჩვენ, მეგობრები.

ჩვენო საყვარელო გელა, ვისაც შენი კაცობა და მეგობრობა ახსოვს, ვისაც შენი ჭირისა და ლხინში გვერდით დგომა გამოუცდია, შეუძლებელია, გული არ სტკენოდა შენი გარდაცვალების გამო. ჩვენო ძვირფასო გელა! შენ სამაგალითოდ განვლე ცხოვრება ამ წუთისოფელში. გულდასაწყვეტია, რომ შენისთანა კაცები გვაკლდებიან! რას ვიზამთ, ღვთის ნებაა!

ნათელი დაგადგეს ჩვენო ძვირფასო, საყვარელო ძმაო და მეგობარო!

მეგობრები –

ნუგზარ რუხაძე, გურამ ბერიძე, თამაზ კვერნაძე, ელიზბარ ლომინაძე, გურამ ფულარია, ჯემალ კანდელაკი, ზაურ გონაძე, გივი რაზმაძე, მურთაზ მამისეიშვილი, არჩილ მურღულია, გურამ ზუბურიძე, მურმან ახვლედიანი, ანზორ არველაძე, გიზო ახვლედიანი, ლეო შელია, მალხაზ გელეიშვილი, გივი ნოზაძე, ბადური მარგველაშვილი.

პანაშვიდი 23, 24 II, 16 სთ. გამოსვენება 25 II, დილის 9 სთ. ბარნოვის №83 (მრგვალ ბაღთანძ, დაკრძალვა სიმონეთში (თერჯოლის რაიონიძ, 14 სთ.

ხსოვნა



# ჯემალ რამიშვილი

ორმოცი დღე სრულდება უშენოდ მარადისობაში გარდასულო ჩვენო საფიცარო ძმაო. შენ საყვარელ გაზეთში მადლიერი სიტყვებით მოგეფერებით და გეტყვი, განუმეორებელი იყავ შენ შენი ცხოვრებით, კაცურ-კაცობით, ზნეობით, სიკეთით, სულიერებით. გაუსაძლისია უშენოდ ყოფნა, მწარეზე მწარეა ყოველი დღე ჩვენთვის.

დადიოდი ძაძებით შემოსილი შვილმკვდარო მამავ, დაგქონდა ყველგან და ყველასთან სიყვარული, თანადგომა. წახვედი შენს მიშიკოსთან. მოგეფერება შენი შვილი ღირსეულ მამას, დაარცხრობს შენ წამებულ ცხოვრებას, რომლის ზიდვაც აქ ვეღარ შეძელი. შენი ცხოვრება მაგალითად უნდა დარჩეს შენს შთამომავლობას.

ლოცვას არ მოვაკლებთ შენს სპეტაკ სულს.

ამალია, რეზო რამიშვილები



ვახტანგ, გიორგი ყოლბაიები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბადრი ჯაბუა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს, ახლო ნათესავებს. დაკრძალვა 23 II, 15 სთ. ზუგდიდის რაიონის სოფ. ინგირში. მისამართი: გურამიშვილის №19.

---

გიორგი მახარაძე მწუხარებით იუწყება სტუდენტობისდროინდელი მეგობრის, ღირსეული და წარმატებული ქართველის, ქართული ჭადრაკის მემატიანის

**თენგიზ გიორგაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს, კეთილისმსურველებს.

---

გიორგი ნაჭყებია ოჯახით მწუხარებით იუწყება ყოფილი მეზობლის, უახლოესი მეგობრის, ქართული ჭადრაკის დიდი მოამაგის

**თენგიზ გიორგაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

„ფაზისის“ აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე აკადემიის წევრის, ცნობილი პოეტის, დიდებული პიროვნების გულნაზი ხარაიშვილის შვილი

**გელა სხირტლაძე**

და თანაგრძნობას უცხადებს მას და განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 23 II, 14 სთ. ქარელის რაიონი სოფ. კოდა.

## დაიჯესტი

### ანტარქტიდის აყვავებული წარსული



**დიდი ბრიტანეთის, ჩინეთისა და იაპონიის მეცნიერთა ჯგუფმა დაადგინა, თუ როდის მოხდა დედამიწაზე ბოლო გლობალური გამყინვარება, რომელიც იმდენად კატასტროფული იყო, რომ ანტარქტიდა დღესდღეობითაც ყინულოვან უდაბნოს წარმოადგენს.**

ოთხი წლის მანძილზე (2004-08) მეცნიერები მძლავრი ყველგანმავლებით ანტარქტიდის ყველაზე ცივ რაიონში, გამბურცევის მთებში დადიოდნენ, რომლებსაც რადარების მეშვეობით იკვლევდნენ. შედეგად მათ რელიეფის რუკა შეადგინეს, რომლის ფართობი 900 კვადრატული კილომეტრია.

გამბურცევის მთებში ახლა მარსული სიცივეა, თერმომეტრის სინდიყი იქ ცელსიუსის მინუს 90 გრადუსს უჩვენებს. მთებს ზემოდან 3 კილომეტრის ყინულის ფენა ადევს, მაგრამ ყოველთვის ასე არ ყოფილა: ჯერ კიდევ 34 მილიონი წლის წინათ კონტინენტი ყინულისგან თავისუფალი იყო, სადაც ევროპის ალპების მსგავსად მდელოები ყვაოდა.

მაგრამ მერე რაღაც მოხდა: მკვლევარებმა გამბურცევის მთების ყველაზე მაღალ, 2400 მეტრის სიმაღლის პიკზე პატარა მყინვარს მიაგნეს, რომელმაც მრავალი მილიონი წლის წინათ ზრდა დაიწყო და ბოლოს მთელი ანტარქტიდა დაფარა.

ექსპედიციის მონაწილე, ედინბურგის უნივერსიტეტის მეცნიერი მარტინ ზაიჰერტი მიიჩნევს, რომ ანტარქტიდის ყინულების ქვეშ, სადაც რამდენიმე ტბასაც მიაგნეს, შესაძლოა დღემდე გაყინული მცენარეები და ხეებიც კი იყოს შემორჩენილი.

### პეტრე დიდის წამოწყებათა ბედიღბალი



**ცნობილია, რომ ვიდრე კრისტობალ კოლონი (იგივე ქრისტეფორე კოლუმბი) ამერიკიდან ინდიელთა „სუვენირებითა" და „საჩუქრებით" დატვირთული არ დაბრუნდა, ევროპაში თამბაქო (ასევე კარტოფილი, პამიდორი და სხვ.) უცნობი იყო. სწორედ ამერიკელ ინდიელებს უნდა უმადლოდეს კაცობრიობა ამ მყრალი ბანგის მოწევის დამღუპველი ჩვევის შემოღებას.**

XVII საუკუნეში, რუსეთში მიხეილ რომანოვის მეფობის დროს, თამბაქო ინგლისელმა ვაჭრებმა ჩაიტანეს და ამით დიდი სარგებელიც ნახეს. თამბაქო ძალიან ძვირი სიამოვნება იყო, რამაც ბევრი მწეველი დიდძალ ვალებში ჩააგდო. 1634 წელს ხელისუფლებამ აკრძალა თამბაქოს მოწევა და გაყიდვა. მეფე პეტრე დიდი რომ არ ყოფილიყო, კაცმა არ იცის თამბაქოს კულტურას მომავალ რუსეთის იმპერიაში რა ბედი ეწეოდა.

უნდა ითქვას, რომ მიხეილ რომანოვის ვაჟიშვილი, ალექსი მიხეილის ძე, ასევე თამბაქოს მოწევის სასტიკი წინააღმდეგი იყო. მისმა მემკვიდრემ კი, პეტრე ალექსის ძემ, დიდად წოდებულმა, თამბაქოს მოწევა დააკანონა, იმიტომ რომ თავადაც მისი დიდი ტრფიალი იყო. ევროპაში მეფის ყოფნისას მოხერხებულმა ინგლისელმა ვაჭრებმა მას თამბაქოს გაყიდვის ნებართვის თხოვნით მიმართეს, რა საქმის სარფიანობა არც თავად პეტრეს გამორჩენია. ამის შედეგად, 1699 წელს რუსეთში უკვე მილიონნახევარი გირვანქა თამბაქო ჩაიტანეს. 1705 წელს თავად პეტრემ რუსეთში ორი თამბაქოს ფაბრიკა დააარსა – ერთი სანკტ-პეტერბურგში, მეორე კი ახტირკაში, თუმცა ისინი ჩამოტანილი ნედლეულით მუშაობდნენ. ორიოდ ათეულ წელიწადში კი რუსეთმა საკუთარი, უმაგრესი თამბაქოს წარმოება დაიწყო, რომელსაც მახორკა ეწოდება.

გარდა ამისა, პეტრე დიდი ასევე... დისკოტეკების მამამთავრად ითვლება, რომლებსაც მის დროს ასამბლეებს ეძახდნენ. ამდენად, თამბაქოს მოწევა, სასმელების სმა და ქალიშვილებთან არშიყი სწორედ იქიდან, ასამბლეებიდან მოდის.

### აბა, ერთი ტუჩებიც ვნახოთ!



**თუ რის შეტყობა შეიძლება კაცის ტუჩების მიხედვით, ამის შესახებ სხვებზე უკეთ ფსიქოლოგებმა იციან.**

**მამაკაცის დიდი პირი,** თურმე, სიმამაცის ნიშანი და, ამავდროულად, მატყუარობის ნიშანი ყოფილა. **ქალის დიდი პირი** კი იმას მოწმობს, რომ საოჯახო საქმიანობაზე მეტად მას უფრო სამსახურებრივი კარიერისადმი მიდრეკილება აქვს.

**პატარა პირი,** ფიზიოგნომისტების აზრით, სუსტი ხასიათის ნიშანია. ასეთი კაცი მუდამ თავის გადარჩენისთვის იბრძვის, ხოლო თუ მას თანაც წვრილი ტუჩებიც აქვს, ეს მშიშრობისა და მორიდებულობის დასტურია.

**პირის ჩამოშვებული კუთხეები** პიროვნების ძლიერ ნებისყოფაზე მეტყველებს, ასეთ კაცზე ძნელია ზეწოლის განხორციელება. ჩარლზ დარვინი მიიჩნევდა, რომ ტუჩების ეს ფორმა დეპრესიისკენ მიდრეკილებას მოწმობს. სხვა აზრით, ტუჩების ეს ფორმა სენტიმენტალობისა და ბუტიობის ნიშანია.

**პირის აწეული კუთხეები** გულუბრყვილო, კეთილსინდისიერი და ნიჭიერი ნატურებისთვისაა დამახასიათებელი.

**მოკუმული ტუჩები** კაცის მიზანდასახულობისა და მტკიცე ხასიათის ნიშანია, ხოლო **ღია პირი,** თან ჩამოვარდნილი ყბით, ფსიქიკური აქტივობის დაქვეითებას მოწმობს, რაც სულელებისთვისაა დამახასიათებელი.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ბედის საძებნელად წასულ დარტანიანს მამამისმა მხოლოდ თხუთმეტი ეკიუ გაატანა პარიზში.

● 5 ათასი წლის წინათ ჩინელმა სწავლულებმა, რომლებიც სიცოცხლის ელექსირს ეძებდნენ, კალიუმის გვარჯილა, გოგირდი და ხის ნახშირი ერთმანეთში აურიეს და მიღებული მასა გაახურეს, რამაც გამოიწვია აფეთქება და ამგვარად შემთხვევით აღმოაჩინეს დენთი.

● რომაელმა სარდალმა მარკუს კრასუსმა ჩაახშო სპარტაკის აჯანყება.

● ლეგენდის თანახმად, ღმერთებმა დაამარცხეს ტიტანები და გაასახლეს მაშინდელი სამყაროს განაპირას – ირლანდიაში. მათი უფროსი დასაჯეს იმით, რომ აიძულეს, დაეჭირა ცის თაღი და ეს იყო ატლანტი.

● ძველი ბერძნები ეგვიპტელებს „მელამპოდებს" – „შავფეხებიანებს" უწოდებდნენ, რადგან ნილოსის ადიდების დროს მათ ტალახში სიარული უწევდათ.

● როგორც ცნობილია, პიგმალიონმა, კვიპროსის მეფემ, ულამაზესი ქალი გამოაქანდაკა და სთხოვა, გაცოცხლებულიყო, რაც შეუსრულდა კიდეც და ეს ქანდაკება განასახიერებდა აფროდიტეს.

● ძველი ბერძნების აზრით, წარღვნის შემდეგ, რომელმაც გაანადგურა სპილენძის საუკუნის ადამიანები, გადარჩნენ მხოლოდ დევკალიონი და მისი ცოლი პირა, რომლებიც გახდნენ წარღვნის შემდგომ კაცობრიობის საფუძვლის ჩამყრელები და მათ უფროს შვილს ერქვა – ელინი.

● მითის თანახმად, პოსეიდონის ვაჟმა დიდებით მთვრალმა ბელეროფონტმა პეგასით ოლიმპზე აფრენა მოინდომა, მაგრამ მისი თავხედობით განრისხებულმა ზევსმა ის ცხენიდან მეტად დამამცირებლად ჩამოაგდო, – კრაზანას პეგასის კუდის ქვეშ აკბენინა.

● არსებობს მოსაზრება, რომ პიესა „მედეას" წერისას თესალიელებმა ევრიპიდე მოისყიდეს, 15 ვერცხლის ტალანტი მისცეს, რომ ტექსტში ცვლილება შეეტანა, რომლის მიხედვით მედეას შვილი თესალიაში კი არ დაიღუპა, არამედ თესალიელების გვარის გამგრძელებელი გახდა.

● XVI საუკუნის ვენეციაში ახალი ამბების ფურცლის წაკითხვისთვის მკითხველს წვრილ ფულს – ერთ გასეტას უხდიდნენ. სწორედ მისი სახელწოდებიდან იღებს სათავეს დასახელება – „გაზეთი".

● კალიგულამ თავის ცხენს ინციტატუს მარმარილოს საჯინიბო აუშენა, სადაც ბაგა სპილოს ძვლისა იყო, დასარწყულებელი კი – ოქროსი, მერე კი ჯერ რომის მოქალაქედ აღიარა და შემდეგ კი სენატორობა უბოძა. კონსულობის კანდიდატთა სიაშიც ჰყავდა შეტანილი, მაგრამ ვერ მოასწრო – კალიგულა მოკლეს.

● ლეგენდის თანახმად, ქალაქი რომი ძმებმა რემმა და რომულმა დააარსეს კიევი – კიიმ მეგობრებთან ერთად, ხოლო ითაკის მმართველმა ულისემ კი ლისაბონი (ულისეს ქალაქი) დააარსა.

● სანტა-კლაუსის ცაზე გადაფრენა პირველად აღწერა ამერიკელმა მწერალმა ირვინგ ვაშინგტონმა 1819 წელს.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

**განცხადება**

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში" 299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

– ბოლოს და ბოლოს ნახე ის კაცი, ვინც მე დახრჩობას გადამარჩინა? – ეკითხება სიდედრი სიძეს.
– კი, გუშინ მოვიდა და ბოდიში მომიხადა.

* * *

– თუ გინდა, რომ წარმატებული იყო, განუხრელად უნდა დაიცვა ორი წესი.
– მაინც რომელი?
– ჯერ ერთი, არასოდეს არ თქვა ყველაფერი, რაც იცი.
– მეორე?
– არ ვიტყვი!

* * *

– ძვირფასო, ისე ცუდად მეძინა წუხელ!
– ეწუწუნება ქმარი ცოლს.
– საერთოდ რაიმე შეგიძლია კარგად?..



* * *

– ბებო, კბილები გაქვს? – ეკითხება შვილიშვილი.
– არა, შვილო.
– მაშინ დამიკავე ბუტერბროდი!

* * *

– გიყვართ თქვენი ცოლი?
– რა თქმა უნდა! რით არის სხვებისაზე ნაკლები?

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24